# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 თებერვალი 2005 №33 (2356) ფასი 50 თეთრი


## გულშემატკივრებს უეფა გაახურებს

დღეიდან ევროთასები განახლდება

5



## პაველ წინასწარმეტყველი

ინტერვიუ პაველ ნედვედთან

8



## არმოსაწყენი ერთფეროვნება

ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

12

# მადლი ჰქენი...



გუშინ „კამპ ნოუზე" გამართული საქველმოქმედო, ვარსკვლავური, სალაღობო და უხვგოლიანი მატჩით ფეხბურთი ცუნამით დაზარალებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს 8 მილიონი ევროთი შეეწია. რონალდინიოს გუნდმა შევჩენკოს ნაკრებს, რომელშიც კახა კალაძეც თამაშობდა, 6:3 მოუგო, თუმც გაიმარჯვა სიკეთემ და ადამიანობამ.



REUTERS

გუშინდელ მატჩში ორი გოლის გამტანი „ბარსელონას"კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო გუშინვე აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

# დინამო და ბრაზილია: მობილური ძმობილური კავშირი

## რომეროს ოთხი ხმის გამცემი ჩამოსდის

თბილისის „დინამოს" დღეს-ხვალ სამი ბრაზილიელი ფეხბურთელი შეემატება და, სავარაუდოდ, სამივე ჩემპიონატის მეორე ეტაპის განახლებამდე ჩაირიცხება კლუბში.

„დინამოს" მეკარე, მცველი და თავდამსხმელი ჩამოჰყავს, ოღონდ რომელი გუნდებიდან, ამის დაზუსტება ჯერ ვერ მოვახერხეთ. მეკარე 25 წლის ჟონატას კუნეგატოა, მცველი 20 წლის რენატო რიბეირო ალვეში, ხოლო ფორვარდი 23 წლის რაფაელ სანტოს სილვა.

შეგახსენებთ, რომ ამ ბრაზილიელებს „დინამოში" თვისტომი სეზარ რომერო დახვდებათ. ფეხბურთელებთან ერთად კი „კორინთიანსიდან" „დინამოში" ჩამოვა მათივე თანამემამულე ფიზმომზადების მწვრთნელიც.

ბრაზილიელი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების „დინამოში" ჩამოყვანაზე, გეხსომებათ, „კორინთიანსის" პრეზიდენტის ალბერტო დუალიბის თბილისში ვიზიტისას ითქვა. მაშინ მან და „დინამოს" პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, ამით, ასეც შეიძლება ითქვას, კლუბები დაძმობილდნენ და აგერ შედეგიც... ვნახოთ, საქართველოში ბრაზილიელებს ადრეც უთამაშიათ, თუმც მაღალი დონის ფეხბურთელი არც ერთი ყოფილა.

კოგა ინ[illegible]არიძე



# მე და ასათიანი კარგი იყო

*კვიპროსის ჩემპიონატის ბოლო ტურში ფამაგუსტას „ანართოსისმა“ შინ აეკ-ს 3:1 მოუგო, თემურ ქეცბაია და კლიმენტი ნიტაიშვილი თითო გოლით გამოირჩნენ, ხოლო გიორგი ქინქლაძე, ვინც ალენ ჟირესმა თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში დააბრუნა და 9 თებერვალს ლიტვასთან ათამაშა, მატჩის მე-16 წუთზე დაშავდა და მოედანი დატოვა*

„მარცხენა კოჭი გადამიბრუნდა და ამიტომ ვერ გავაგრძელე მატჩი, თუმც სერიოზული არაფერია, შესაძლოა, მომდევნო ტურში ვითამაშო კიდეც“ — გვითხრა ქინქლაძემ, ვისი რამდენიმე მოხდენილი ფინტი და მეტოქის ფეხებშუა გაძვრენილი ბურთი ერთხელაც ვიხილეთ 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში.

ქინქლაძე „ანართოსისში“ შარშან, სექტემბრის ბოლოს მივიდა და კვიპროსულ ჩემპიონატში ოქტომბრიდან დაიწყო თამაში. მანამდე კი წელიწადზე მეტი უგუნდოდ იყო. ყველაფერ ამის შემდეგ მას ეროვნულ ნაკრებში უხმეს და თუ ქინქლაძემ ლიტვასთან ფუნქციურად ვერ ითამაშა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიმდინარე სეზონის წინ მას შეკრება არ გაუვლია, ხოლო საშუასეზონო შესვენება კვიპროსულ ჩემპიონატში იმდენად მცირეა (დაახლოებით ორი კვირა), რომ გუნდები შეკრებაზე საერთოდ არ გადადიან.

„ვფიქრობ, ლიტვასთან ნორმალურად ვითამაშე იმის გათვალისწინებით, თუ რა პირობებში ჩატარდა შეხვედრა — მინდორი არ ვარგოდა, მოყინული იყო, თუმც საყურებლად ცუდი თამაში არ გამოვიდა. არსებული პირობები მეტის საშუალებას არ იძლეოდა“ — ასე მიაჩნია ქინქლაძეს და არც იმას უარყოფს, რომ ჯერაც არაა საუკეთესო ფორმაში.

მომდევნო მატჩები საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 26 და 30 მარტს აქვს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საბერძნეთთან და თურქეთთან. „იქამდე კვიპროსის ჩემპიონატში 5-6 მატჩის თამაშს მოვასწრებ და უკეთეს ფორმაშიც შევალ. კიდევ მაქვს იმას სურვილი, რომ თამაშს მოვუმატო მიუხედავად იმისა, რომ „ანართოსისში“ შეკრება არ გამივლია“ — ამბობს ქინქლაძე და, ვინძლო, ჟირესმა კვლავ უხმოს ნაკრებში.

ლიტვასთან ჟირესმა ქინქლაძე მალხაზ ასათიანს შეუწყვილა მოედნის ცენტრის „მოსახვეჭად“ და მისმა ასეთმა გადაწყვეტილებამ გაამართლა კიდეც.

და რას ფიქრობს ქინქლაძე ქინქლაძესა და ასათიანის ტანდემზე? „ლიტვასთან ეს კარგი იყო“ — მოკლედ მოჭრა „ქინქიმ“.

**დავით თავართქილაძე**

# მიხო–მახოური ამბავი

საქართველო — ლიტვის 9 თებერვლის ამხანაგური მატჩი სხვა საინტერესო თუ ნაკლებად საინტერესო ამბების გარდა, ერთი რამითაც იყო გამოსარჩევი — მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია ნაკრებს დაუბრუნდა და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გვგონია, საჭირო გოლით დაუბრუნდა.

ეგებ ვინმემ იფიქროს, თავდამსხმელის საქმე გოლის გატანაა და ამაში ასეთი მნიშვნელოვანი რა ნახეთო, მაგრამ... აშვეთიამ ისეთი სეზონი გადაიტანა, რომ მისთვის ამ გოლს დიდი მუხტის მიცემა შეუძლია და ამას თავად მიხოც აღიარებს:

„იმედი მაქვს, შარშანდელი უიღბლობა წარსულს ჩაბარდა. იმ პერიოდის გახსენებაც აღარ მინდა — საშინელება იყო. ლიტვასთან გატანილ გოლს კი მალხაზ ასათიანს ვუმადლი. მან ისეთი პასი მომცა, არგატანა შეუძლებელი იყო“.

ასათიანი აშვეთიას მეგობარია და გაჭირვებისას აქამდეც არაერთხელ დახმარებია...

„მალხაზს ერთხელაც ვეტყვი მადლობას. ის ყოველთვის გვერდით მიდგას. თუნდაც იგივე ლიტვასთან მატჩი გავიხსენოთ — გოლის მერე მეკარესთან პირისპირაც დამტოვა, არადა, თავადაც შეეძლო შეტევა.“

აშვეთია ალენ ჟირესმაც სასიამოვნოდ გააკვირვა — ჟირესი ნამდვილი პროფესიონალიაო, ამბობს და იქვე საინტერესო შედარებას აკეთებს:

„ჟირესს ისეთივე საინტერესო ვარჯიშები აქვს, როგორც იური სიომინს „ლოკომოტივში“. ერთი-ორჯერ გავიფიქრე კიდეც, ნაკრებში და კლუბში ერთი და იგივე კაცი ხომ არ მუშაობს-მეთქი. მსგავსება მართლაც ბევრია. ისე კი, ჟირესი მკაცრი მწვრთნელია, თუმც ვერც წარმომიდგენია, კარგი მწვრთნელი სხვანაირი როგორ შეიძლება იყოს“...

აშვეთიას დღევანდელ ნაკრებში თამაში უხარია და, ადრინდელისგან განსხვავებით, უფრო იმედიანიც ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა შეგვიძლიაო...

„მართალია, ლიდერებს ჩამოვრჩებით, მაგრამ მარტში თურქებს და ბერძნებს თუ მოვუგეთ, ყველაფერი საჩვენოდ შემოტრიალდება. ნურავინ იფიქრებს, რომ უკან დახევას ვაპირებთ. პირიქით, ნამდვილი ბრძოლები ახლა იწყება“.

ჩვენ კი გეტყვით, რომ მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი, „ლოკომოტივის“ მესამე ქართველ მათე ღვინიანიძესთან ერთად, ახლა ესპანეთში ემზადებიან საახალსეზონოდ. რკინიგზელებმა იქ „ლა მანგას თასის“ პირველი მატჩიც გამართეს და ნორვეგიულ „ლილესტრიომთან“ 0:1 დამარცხდნენ. ასათიანმა 90 წუთი ითამაშა, აშვეთია კი 68-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

**ქახა შალამბერიძე**



ლიტვის კარში გატანილ გოლს მიხეილ აშვეთია მალხაზ ასათიანს უმადლის

# ჩივაძე ნაკრების მწვრთნელია

**8 მაისს** მოსკოვში, „ლუჟნიკის“ სტადიონზე საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართება ფიფას ეგიდით. დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს გაეჯიბრება. შეხვედრა ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავს ეძღვნება და თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელები ითამაშებენ.

მეტოქეთა შემადგენლობები ჯერ არ დაზუსტებულა, თუმც უკვე ცნობილია, რომ მასპინძელთა ნაკრების მწვრთნელები ალექსანდრე ჩივაძე და ოლეგ ბლოხინი იქნებიან და შემადგენლობასაც ისინი დაასახელებენ. ფიფამ ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გუშინ ოფიციალურად აცნობა.

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩი**
ძრიუ 1:1 ბარნლი
**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**
ჰარტლპული 2:3 ლუტონი
ტორკი 2:1 პიტერბრო
კოლჩესტერი 3:1 ბორნმუთი
**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩები**
უიკომბი 2:1 სკანთორპი
ნოტსი 0:0 ნორთჰემპტონი
**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**
ლეი 0:1 ნორსვიჩი
ძროული 3:0 ტემუორთი
**LDV VANS TROPHY**
**ნახევარფინალი**
როვერსი 1:2 *საუთენდი*
ოლდემი 3:5 *რედსემი*

## შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
მოზერუელი 1:1 ჰიბერნიანი
**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
ისტ ფაიფი 2:0 ისტ სტირლინგი
**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალი, გადათამაშება**
*კლაიდი* 2:1დ.დ.(1:1) როსი

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
სენტ ეტიენი — აიაჩო გადაიდო
**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
დიჟონი 1:1 გენგამი
ტრუა 2:1 ნანსი

## საქველმოქმედო მატჩი




**შევჩენკოს ნაკრები 3:6 რონალდინიოს ნაკრები**

0:1 ეტოო (13), 0:2 რონალდინიო (19), 1:2 დელ პიერო (29), 1:3 ეტოო (45), 2:3 ძოლა (50), 3:3 სუაცო (53), 3:4, 3:5 კამარა (63, 66), 3:6 დუ-რი ჩა (80)

**შევჩენკოს ნაკრები:** კასილიასი (ტოლდო 46), დაისლერი, ტურამი (კუფური 46), მონტერო, კალაძე (კომპანი 46), ბექემი (ჟიული 46), ჯერარდი (ფოგელი 46), დელ პიერო (ძოლა 46), ზიდანი (ლიტმანენი 46), შევჩენკო (ანრი 46; ჰაქან შუქური 65), რაული (სუაცო 46)

მწვრთნელები: მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი

**რონალდინიოს ნაკრები:** დიდა (კამენი 46), კაფუ (ბესლი 46), რადებე (ჯაიდი 46), კორდობა, სონგი, ნაკატა (პარკი 46), მარკესი, დეკო (მამდავიკია 46), კაკა (დუ-რი ჩა 46), რონალდინიო (მარტინსი 61), ეტოო (ა. კამარა 46)

მწვრთნელები: კარლოს ალბერტო პარეირა და ფრანკ რაიკარდი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

40 770 მაყურებელი

## ვასოს ორი ა-ტომი

**9 თებერვალს** სიმფეროპოლის „ტავრიას“ ფორვარდმა ვასილ გიგიაძემ ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში პირველად მოირგო საქართველოს ნაკრების მაისური. ზუსტად იმ დღეებში „ტავრიამ“ პირველი უგოლო ტესტ-მატჩი გამართა რუსულ „როსტოვთან“, მაგრამ დაუბრუნდა თუ არა გიგიაძე სიმფეროპოლელებს, „ტავრიაც“ მაშინვე დაიქოქა — ყირიმელებმა რუსული პრემიერლიგის დებიუტანტ „ტომს“ 2:1 მოუგეს და, როგორ გგონიათ, ვინ გაიტანა ორივე გოლს? ისევ გიგიაძე...

**ილია ნანობაშვილი**


კახა ჩხეტიანს და ზურაბ იონანიძეს იღბლიანი ზესტაფონური დებიუტი გამოუვიდათ

# შეცვლა, რომელმაც დინამოც შეცვალა
## თემურ მახარაძე: თასამდე ათასი საქმეა

1996 წლის შემდეგ ზესტაფონელებს ფეხბურთით ასე აღარ გაუხარიათ. მაშინ იყო, იმერულმა კლუბმა სასწაული რომ მოახდინა და ევროპაში გაჭრა ფანჯარა, ახლა კი ფეროელები მეორე საევროპო „ვიზისთვის" იბრძვიან. „ზესტაფონმა" გუშინწინ თბილისის „დინამო" დაიფრინა საქართველოს თასის მერვედფინალიდან და ფინანსურად წელგამართული კლუბი ამაზე რატომ გაჩერდება...

მოკლედ, მართლაც მრავლისმეტყველია. ზესტაფონი — დინამო 1:0. იმერული კლუბის მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე ეიფორიაში არ გახლავთ, საკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და თასის აღება ძალიან ძნელი იქნებაო



— ძნელი მატჩი გვქონდა, დინამოელებმა საწყის 30 წუთში თავიანთი თამაში მოგვახვიეს თავს და მხოლოდ მეორე ნახევარში შევძელით უპირატესობის მოპოვება. გოლმაც სულზე მოგვისწრო.

**— პირველი ტაიმის ბოლოს თავდამსხმელი ზირაქიშვილი ნახევარმცველ ნუდნით შეცვალეთ, არადა, გოლი გქონდათ გასატანი და თითქოს პირიქით, თავდასხმა უნდა გაგეძლიერებინათ...**

— ეს იმიტომ, რომ „დინამომ" მოედნის ცენტრი წაგვართვა და ნახევარდაცვას დახმარება სჭირდებოდა. შეტევების სიმძაფრე ყოველთვის თავდამსხმელთა რაოდენობაზე როდია დამოკიდებული. ამ შეცვლამ აშკარად გაამართლა, ნუდნი ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში, ბოლო წუთებში ბექა გოცირიძეც ფხიანად შევიდა და დიდწილად სწორედ ამ შეცვლებმა მოიტანეს მოგება.

**— იონანიძის თამაშზე რას იტყვით?**

— მიხარია, რომ ძველებურ ფორმას იბრუნებს. ზურაბმა ანთალიურ შეკრებაზე 9 მატჩში 6 გოლი შეაგდო და მაინც ეტყობოდა, რომ 5 თვე უთამაშებელი იყო. „დინამოსთან" კი კარგად ითამაშა და, რაც მთავარია, გადამწყვეტ დროს გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**— ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ „ზესტაფონის" შემადგენლობა შეიცვალა. ახალ ფეხბურთელებს შეთამაშება არ გაჭირვებიათ?**

— იქნებ გუშინდელ მატჩში შეუთამაშებლობა იმდენად არ გამოჩნდა, მაგრამ ამ მხრივ საქმეები ბევრი გვაქვს. „დინამოსთან" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორი ფეხბურთელი თამაშობდა შარშანდელი გუნდიდან, ასე, ამ დროისთვის არ გაუჭირდება?!

**— „დინამოსგან" უფრო ძლიერ თამაშს არ ელოდით?**

— პირველ ტაიმში ნაცადი „დინამო" იყო, თამაში მიჰყავდათ და ღონივრადაც გამოიყურებოდნენ, ან, მეორე 45 წუთში კი თამამად შევუტიეთ და თბილისელთა ნაკლოვანებებიც გამოჩნდა — ძალიან გაუჭირდათ, უფრო ძლიერ წინააღმდეგობას ველოდი.

**— ახლა ალბათ თასის მოპოვებას გეგმავთ...**

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. „ბათუმი" ის გუნდი არაა, ერთი ამოსუნთქვით მოუგო.

**ილია ნანობაშვილი**

# ქვედასართულელმა ზედას წყალი შეუყენა

**ორ დღეში** საქართველოს ჩემპიონატი განახლდება და კარგად გამოჩნდება, ვინ როგორ გამოიზამთრა.

ჯერ საქმეში მხოლოდ ორი გუნდი ვნახეთ — ჩემპიონატის ლიდერი „დინამო" და „ქვედასართულელი" „ზესტაფონი".

სწორედ ამ ორმა გუნდმა იაქტიურა ყველაზე მეტად სატრანსფერო ბაზარზე.

„ზესტაფონი" — „დინამოს" სათასო დაპირისპირების მიმოხილვა გუშინდელ „სარბიელში" შემოგთავაზეთ, თუმცა ერთ წერილში სათქმელი რას ჩაეტეოდა...

პირველად იმ სიხარულზე ვთქვათ, გუშინწინ იმერთქალაქში რომ სუფევდა. 8 000 მაყურებლის თვალწინ ფაქტობრივად ახალშექმნილმა გუნდმა წლის პირველსავე ოფიციალურ მატჩში სენსაცია გამოაცხო — „დინამო" თასს მერვედფინალიდან ჩამოაშორა.

ზესტაფონში სერიოზული გუნდი რომ კეთდება, არაერთგზის თქმულა, გუშინწინ კი ამაში ერთხელაც დავრწმუნდით. თან, რაც მთავარია, „ზესტაფონი" არ ჰგავს ჩვენთვის კარგად ნაცნობ „ერთწლიან" გუნდებს. „ზესტაფონის" ხელმძღვანელები იმ „ერთწლიანი" გუნდების თავკაცების დარად ევროპაზე კი ფიქრობენ, მაგრამ საქმეს უფრო ფრთხილად ეკიდებიან.


ზესტაფონელთა მოუღლელი ყოჩი გიორგი თურმანიძე

ზესტაფონელ ქომაგსაც ინტერესი გაუჩნდა. ორი-სამი წლის წინ სტადიონზე მხოლოდ ფეხბურთელების ნათესავ-მეგობრები, ჟურნალისტები და თითო-ოროლა გულშემატკივარი თუ გროვდებოდა, ახლა ყველა ფეხბურთის მიელაპარაკება.

იმერლებმა ყველა სათამაშო რგოლი თანაბრად დააკომპლექტეს. დაცვის ხაზში ჯერ კიდევ შარშან თავგამოჩენილ ძამსაშვილს, ბესარაშვილს, გვარუციძეს და სულაკაძეს სამი გამოცდილი დაემატა — თოდუა, გუჩუა და ღონღაძე „დინამოსთან" ძირითადში იყვნენ.

წესით, ნახევარდაცვა იმერელთა ყველაზე ძლიერი რგოლი უნდა იყოს. თურმანიძე-ნუდნის მოუღლელი დუეტი უკრაინამოვლილი ჩხეტიანით და ახალგაზრდა განუგრავათი გაძლიერდა.

„ზესტაფონს" შეტევაში ზირაქიშვილი და იონანიძე ჰყავს, ორი გამორჩეული ფორვარდი, რომლებმაც მეოთხედფინალში გასვლაში ლომის წილი დაიდეს.

სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ დახურულა და იქნებ ფეროელებს ახალი ფეხბურთელიც შეემატოს. კულუარებში უამრავ ჭორ-მართალს ამბობენ. მთავარი კი ისაა, რომ იმერლები ფეხბურთით ცხოვრებას იწყებენ.

როგორც ვთქვით, „ზესტაფონს" სატრანსფერო აქტიურობით არც „დინამო" ჩამორჩა, თუმც თემურ მახარაძის გუნდისგან განსხვავებით, თბილისელთა სატრანსფერო პოლიტიკა საკამათო თემად იქცა. ჯამარაული, ბაბუნაშვილი, ოდიკაძე, ნოზაძე და სხვები, რა თქმა უნდა, კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ „დინამოს" სატრანსფერო „დერეფანში" ახალაიამ, კვირკველიამ და კანკავამ საპირისპირო მიმართულებით რომ გაიარეს, ესეც სათქმელია. არადა, ესენი შარშან გუნდის ხერხემალს შეადგენდნენ და უეფას თასის ჯგუფური ეტაპიდან გამოვარდნის მერე ბევრს იმედი მიეცა, სამომავლოდ გუნდიც მოუმატებს, ძლიერ მოთამაშეებსაც დაიმატებს და მერე ნახეთო...

ახლა კი რა გამოდის? ჯერაც მშენებარე გუნდის თავიდან შენება იწყება და ვეჭვობთ, ამ პოლიტიკით იმ გულშემატკივრების იმედს ასრულება ეწეროს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ.

მოკლედ, „დინამომ" წელი ანტირეკორდით გახსნა — საქართველოს თასის მერვედფინალიდან ხომ აქამდე არასოდეს გავარდნილა.

**ოთარ მაღლაკელიძე**


# თქვენი ინტერვიუ
# შოთა არველაძესთან
«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



„თბილისის“ თავკაცობა ხმაურიან პრესკონფერენციაზე: მამუკა გუგეშაშვილი, ლუის ცაკარიასი და გოჩა თამაზაშვილი



თბილისი-ტირასპოლი-თბილისი... თორნიკე აფციაურის უშედეგო ვოიაჟი

# მოდით, ვნახოთ ცაკარიასულიც

აკაკი დევაძე „ზესტაფონში“, ზაალ ელიავა რიგის „სკონტოში“, რევაზ გეწაძე, სერგო ორბელაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე და ბექა შეყრილაძე თბილისის „დინამოში“, კოკა მიკუჩაძე ფოთის „კოლხეთში“, გოჩა ხოჯავა კი კვიპროსულ „ანართოსისში“...

ეს ფეხბურთელები მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე „თბილისში“ თამაშობდნენ, მაგრამ კლუბმა 31 იანვარს გადაწყვეტილება მიიღო — გუნდის ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. თუმც ზოგიერთი მათგანი მეორე ეტაპისთვის „თბილისში“ დარჩება და თუ ახლანდელი „თბილისის“ შემადგენლობას გადავავლებთ თვალს, ლუის ცაკარიასის გუნდი უილაჯო ნამდვილად არ უნდა იყოს — კარში სოსო გრიშიკაშვილი, დაცვაში რევაზ ქემოკლიძე, ნახევარდაცვაში გოგიტა გოგუა, თავდასხმაში სანდრო იაშვილი — „თბილისს“ ყველა რგოლში მოეპოვება ყოჩი და ქართულ მოედნებზე „თამაშის გამომძრობი“ ფეხბურთელი.

„თბილისმა“ სეზონი უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყო და აზერბაიჯანულ „შამქირს“ რეტი დაასხა (1:0, 4:1), თუმც მომდევნო ეტაპზე პოლონურ „ლეგიასთან“ ჩაფლავდა (0:1, 0:6). მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში კი „თბილისი“ ჯერ არასტაბილურად თამაშობდა, მაგრამ მერე თითქოს კალაპოტში ჩადგა.

საინტერესო და სიმპათიურ გუნდად „თბილისი“ გიორგი დევდარიანმა შექმნა წინა სეზონში და დევდარიანის „თბილისმა“ ამ სეზონის პირველ ეტაპზეც რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ითამაშა. თუნდაც ის რად ღირს, რომ მე-12 ტურში დევდარიანის გაწვრთნილმა „თბილისმა“ გია გეგუჩაძის „დინამოს“ 5:0 მოუგო — ასეთი დიდი ანგარიშით „დინამოს“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მანამდე არ წაეგო.

თუმც დევდარიანმა უკვე „დინამოსთან“ მატჩის წინ იცოდა, რომ გუნდის დატოვება მალე მოუწევდა და ფეხბურთელებს ამითაც აგულიანებდა — შესაძლოა, ეს ჩემთვის ბოლო თამაში იყოს „თბილისში“ და აბა, თქვენ იცითო...

მართლაც, მეცამეტე არა და, მეთოთხმეტე ტურიდან „თბილისში“ ახალი მწვრთნელი მივიდა — პერუელი ლუის ცაკარიასი, ვისაც ქართული გუნდის გაწვრთნის გამოცდილება მანამდეც ჰქონდა, როცა თბილისის „ლოკომოტივს“ თავკაცობდა.

დარჩენილ ტურებში ცაკარიასს „თბილისში“ რევოლუციური ძვრები არ განუხორციელებია, გუნდი იგივე მოდელით და სტილით თამაშობდა, მაგრამ მეორე ეტაპზე რა როგორ იქნება, ჯერ გამოცანად რჩება. „ლოკომოტივში“ ცაკარიასი უფრო მობილური ფეხბურთის მიმდევრად ჩანდა, ვიდრე ლალის.

„თბილისის“ სტრუქტურაში შედის „ოლიმპის“ საფეხბურთო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც. ყველაფერი ეს „თბილისს“ მილიონობით დოლარი დაუჯდა, მაგრამ არც ამონაგები ჩანდა და არც საგადასახადო შეღავათები — ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ კლუბმა მთელი გუნდი ტრანსფერზე დააყენა.

„თბილისის“ აქტივში უნდა ჩაითვალოს ის, რომ „დინამოდან“ ხამი წლის წინ გამოშვებული გოგიტა გოგუა და „დინამოდან“ შარშან ტრანსფერზე დაყენებული სანდრო იაშვილი დღეს ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებად ითვლებიან საქართველოში — გოგუას „აიაქსი“ უყურებს, ხოლო იაშვილი „რეინჯერსს“ უკვე მოსწონს და ამ ფორვარდის ტრანსფერზე სერიოზულად ფიქრობს.

მეორე ეტაპისთვის „თბილისი“ თასის ალებაზე აცხადებს პრეტენზიას, თუმც თბილისელები იმასაც იქადნებიან, ჩემპიონობის მთავარ მაძიებლებს მაგრად დავეტაკებითო.

*მეკარეები:* სოსო გრიშიკაშვილი, რევაზ თევდორაძე;
*მცველები:* ბესიკ მიქიაშვილი, გიორგი ლოლაძე, გივი კვარაცხელია, რევაზ ქემოკლიძე, გედევან დარასელია;
*ნახევარმცველები:* მიხეილ მესხი, თორნიკე აფციაური, გიორგი მიქელაძე, შოთა ჯიქია, გაგა ბოჭორიძე, გოგიტა გოგუა, გიორგი ფოფხაძე, დავით ჟღენტი;
*თავდამსხმელები:* სანდრო იაშვილი, რევაზ ბარაბაძე, გოგა ფიფია, გიორგი ბერიშვილი.

**დავით თაგართქილაძე**




# დილა რეალობას თვალებში უყურებს: პატარა გორი პატარაა

გორის „დილამ“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ოდენ 8 ქულა მოაგროვა და ცხრილის ფსკერზე დაილექა. თუ სასწაული არ მოხდა, შარშან ინტერტოტოდაჭაშნიკებული „დილა“ მომავალ სეზონს პირველ ლიგაში გაატარებს.

შედეგი შედეგად და, პირველ ეტაპზე ქართლელების თამაშში ვერც პერსპექტივას დაინახავდა კაცი. სხვა აუტსაიდერებმა — „ზესტაფონმა“, „კოლხეთმა“ და „სიონმაც“ კი ქულების გარკვეული მარაგი მაინც შეიმატეს, გორელები კი ვერაფრით დაიძრნენ.

ზამთრის შესვენებაზე „დილას“ მწვრთნელი შეეცვალა. სოსო ვაშაკიძის ადგილი მერაბ ხუციშვილმა დაიკავა, რომელიც დანებებას არ აპირებს — ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, გუნდი ჩიხიდან უნდა გამოვიყვანოთო.

„მერვეადგილოსანს მთელი 11 ქულით ჩამოვრჩებით და რომ დავიქადნო, „დილა“ აუცილებლად დარჩება უმაღლეს ლიგაში-მეთქი, ტრაბახში ჩამეთვლება. ილუზიას არ ვიქმნით, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ. უცხოური შეკრება არ გაგვივლია და ისევ თბილისსა და გორში ვატარებდით საკონტროლო მატჩებს“.



მერაბ ხუციშვილი




ჩვენც ტესტ-მატჩებზე ვთქვათ: „დილამ“ ჯერ „დინამო 2“-თან წააგო თბილისში (2:3), მერე „ბორჯომს“ (3:0) და „ცხინვალს“ (2:1) მოუგო, ამას მოჰყვა ორი სპარინგი „თბილისთან“, სადაც გორელები 0:2 და 1:4 დამარცხდნენ. თამაშების სერია კი ისევ „დინამო 2“-თან უგოლო ფრით დასრულდა.

„დილა“ საკმაოდ სახეშეცვლილი შეხვდება მეორე ეტაპს. გამოცდილი მცველი გიორგი ბალაშვილი „ბორჯომში“ გადავიდა, გუნდს გაეცალნენ ქრისტეფორე შატაკიშვილი, ლუკა რაზმაძე, ლევან ჩაჩუა, გიორგი ლომიძე, კახა წუწუნავა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა.

გორელებს პირველლიგელი მეზობელი „ცხინვალი“ მოევლინათ მხსნელად, საიდანაც რეზო ხაჭაპურიძე, გიორგი და ბექა ჩიტაიები, ლევან გოჩაშვილი და ბაკურ ჯალაბაძე გადაიყვანეს. ორიოდ დღის წინ კი „დილას“ ქუთაისური „ტორპედოდან“ ვეტერანი გიორგი რევაზიშვილიც დაუბრუნდა.

„ჯერ ნაღდად ვერ ვიტყვი, დავსუსტდით თუ გავძლიერდით, ამას თამაშები გასცემს პასუხს. ისე კი, წასულთა შორის ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომელთა გუნდში დატოვება ძალიან მინდოდა. ისევ ადგილობრივი კადრებით გავალთ ფონს. ახლა „დილაში“ 40 ფეხბურთელია და საჩემპიონატო განაცხადს ხვალ შევადგენთ“ — გვითხრა მერაბ ხუციშვილმა.

შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა სამ-ოთხი თვის წინ გვითხრა, „დილას“ ყურადღებას მივაქცევ და ქალაქში ფეხბურთს არ ჩავკლავო. მერაბ ხუციშვილის თქმით, ბატონი მიხეილი დანაპირებს ასრულებს — სწორედ ქარელი წყვეტს ჩვენს ყველა პრობლემას, ამიტომაც ფინანსებში არ გვიჭირსო.

„ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილი გვაქვს, რადგან სხვა გუნდებს გვარიანად ჩამოვრჩებით და რეალურად თუ შევხედავთ, გავარდნას ვერ გადავურჩებით. ჩვენი მიზანი ხარისხიანი ფეხბურთის თამაშია“ — ესეც მერაბ ხუციშვილის სიტყვებია.

„დილა“ რომ გასაწირად ძნელი გასამეტებელია და საქართველოს ჩემპიონატს გარკვეულწილად ყოველთვის ალაზათიანებდა, საკამათო არ არის. ვნახოთ, გამოცოცხლდება თუ არა მეორე ეტაპზე „თენგიზ ბურჯანაძის“ სახელობის სტადიონი...

**ილია ნანობაშვილი**

# უეფას თასი 2004-2005. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს...

# გულშემატკივრებს უეფა გაახურებს თუ ვალენსიას დღესაც დაუღამდა...

*დღეს ორთვიანი პაუზის შემდეგ უეფას თასის მატჩები განახლდება. ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირი გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგაზე არანაკლებად საინტერესო ორთაბრძოლებს ჰპირდება. დღის ცენტრალური მატჩი კი „ენიო ტარდინიზეა", სადაც „პარმას" გერმანული „შტუტგარტი" სტუმრობს*





მირჩა ლუჩესკუ რალფ რანგნიკის „შალკეს" ჩინებულად მომზადებულ „შახტარს" დაახვედრებს

### პარტიზანი – დნიპრო

ორივე კლუბს ოფიციალური მატჩი ორ თვეზე მეტია, არ გაუმართავს. მსგავსება იმაშიც არის, რომ „პარტიზანმაც" და „დნიპრომაც" ზამთრის შეკრება თურქეთში გაიარეს.

ბელგრადელებს პიერე ბოია დააკლდებათ. გარდა ამისა, საეჭვოა მილივოიე ცირკოვიჩის, ნიკოლა გრუბიესიჩისა და ივიცა კრალის თამაში, მაგრამ, ექიმების თქმით, სამივე მათგანი მწყობრში იქნება. ამ ორთვიანი პაუზის განმავლობაში სერბული კლუბი ერთბაშად ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. ახალწვეული კი ორია — კორეელი მცველი ჩი-ვუ კიმი და ნიგერიელი ემანუელ ოლიტა, ხოლო „დნიპრო" „მარაკანას" დანაკარგის გარეშე სტუმრობს.

ბოლოს გეტყვით, რომ ეს კლუბები ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიან.

### შახტარი – შალკე

ისტორიაში პირველად ხვდებიან ერთმანეთს. მეტიც, გელზენკირხენელებს საერთოდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის კლუბების წინააღმდეგ არასოდეს უთამაშიათ.

დონეცკელებმა შესვენება კარგად გამოიყენეს. მათ ორი შეკრება გაიარეს ესპანეთსა და თურქეთში. გარდა ამისა, შვიდი ახალი ფეხბურთელი დაიმატეს, სამ კი გაუშვეს.

„ეს შეკრებები და ამხანაგური მატჩები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გუნდში ბევრი ახალწვეულია და ისინი კარგად უნდა შეთამაშებულიყვნენ. ვფიქრობ, მიზანს მივაღწიეთ და „შალკესთან" საპაექროდ მზად ვართ" — თქვა უკრაინელთა თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ.

გერმანელები უკრაინაში სამი ახალწვეულით ჩადიან და არც ერთი ტრავმირებული ფეხბურთელი არ ჰყავთ. „შალკეს" მთავარ მწვრთნელ რალფ რანგნიკს კი განსაკუთრებით კლუბის ბრაზილიელი ლეგიონერის, ლინკოლნის ეიმედება, რომელმაც ცოტა ხნის წინ გუნდთან კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა.

### პანათინაიკოსი – სევილია

„პანათინაიკოსს" „სევილიასთან" არასოდეს უთამაშია, მაგრამ ესპანურ კლუბებს ხშირად ხვდება. ბერძნებს დადებითი ბალანსი ნამდვილად არა აქვთ, თუმც ბოლო დროს პირინეულ გუნდებთან წარმატებას აღწევენ.

ათენელებს ტრავმირებული ფეხბურთელები არ ჰყავთ და, მათი მწვრთნელის თქმით, საბრძოლველად არიან განწყობილნი. თუმც „პანათინაიკოსს" რთული გამოცდა ელის, რადგანაც გუნდი აშკარად არ არის ფორმაში. „სევილია" კი პირიქით, ესპანეთის ჩემპიონატში მესამე დაგილზეა.

ესპანელებს ერთადერთი პრობლემა დაცვაში აქვთ. სერიოზულად დაშავდნენ სერხიო რამოსი, პაბლო რუისი და ხესუს ნავარო. სამაგიეროდ, სევილიელებს შავკანიანი ფორვარდი არიზა მაკუკულა დაუბრუნდათ.

### აიაქსი – ოსერი

ეს კლუბები ერთმანეთს 1992-93 წლების სეზონში უეფას თასის მეოთხედფინალში გადაეყარნენ. მაშინ გამარჯვება ფრანგებს დარჩათ. 1996-97 წლების სეზონში კი „აიაქსი" და „ოსერი" ჩემპიონთა ლიგის ერთ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც 3-3 ქულა თანაბრად გაიყვეს.

ამსტერდამელები „ოსერს" ჰანს ვონკისა და ბოგდან ლობონტის გარეშე დაუხვდებიან. საეჭვოა უესლი სნეიდერის, ზდენეკ გრიგერას, ტომაშ გალაშეკისა და ჯონი ჰეიტინგას თამაშიც, თუმც ექიმები ყველანაირად ეცდებიან, ეს ფეხბურთელები მწყობრში ჩააყენონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რონალდ კუმანს სერიოზული პრობლემები შეექმნება.

დანაკლისი აქვს „ოსერსაც". ფრანგები იუნუს კაბულს, იოან რადესა და იან ლაშუერს მოისაკლისებენ — სამივე მათგანს მუხლის ტრავმა აწუხებს.

### პარმა – შტუტგარტი

„პარმას" გერმანულ კლუბებთან საშინაო მატჩი არასდროს წაუგია და საერთოდ, დადებითი ბალანსიც აქვს. „შტუტგარტს" კი პირიქით — იტალიაში ერთხელაც არ მოუგია.

ეს მატჩი ინტერესს იმითაც იწვევს, რომ ორივე გუნდი ამჟამად საკმაოდ ცუდ ფორმაში იმყოფება. ზამთრის შესვენების შემდეგ „შტუდგარტმა" ბუნდესლიგაში სამი შეხვედრა გამართა და მხოლოდ ერთი ქულა აიღო, ხოლო „პარმა" საერთოდაც სერია A-ს ერთ-ერთი აუტსაიდერია და თუ თამაშს დროულად არ გამოასწორებს, დაქვეითება არ ასცდება.

მათიას ზამერი გუნდის ერთ-ერთ ფორვარდ მარკო შტრელერს ვერ დაიხმარს, რომელმაც ესპანეთში შეკრებაზე ყოფნისას ფეხი მოიტეხა. დაშავებულია ფილიპ ლამიც.

იტალიელებს არავინ აკლიათ. პირიქით, გუნდს ხუთთვიანი პაუზის შემდეგ გამოცდილი მცველი სტეფანო ბეტარინი დაუბრუნდა. ბოლომდე მწყობრშია გუნდის ახალგაზრდა ვარსკვლავი ალბერტო ჯილარდინოც.

### აუსტრია – ბილბაო

„აუსტრიას" ესპანური კლუბების წინააღმდეგ 11-ჯერ უთამაშია და აქედან მხოლოდ ერთხელ მოუგია. ეს გამარჯვება ვენელებმა სწორედ უეფას თასის მიმდინარე სეზონში მოიპოვეს, როდესაც საშინაო მატჩში „სარაგოსას" სძლიეს (1:0). რაც შეეხება „ბილბაოს", ბასკები ავსტრიულ კლუბებს არასდროს შეხვედრიან.

მასპინძელთა თავკაცს გუნდის პოლონელი გამთამაშებლის, სებასტიან მილასი ეიმედება. სამაგიეროდ, „აუსტრიას" ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი მარკუს კისენებნერი დააკლდება.

ბილბაოელებს ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ხავი გონსალესი დაუბრუნდათ. ექიმების თქმით, მან ბოლომდე მოიშუშა მუხლი და სათამაშოდ მზადაა.

### ვალენსია – სტიაუა

ეს ამ კლუბების მესამე შეყრა იქნება. წინა ორ შემთხვევაში გალისიელებმა იოლად სძლიეს რუმინულ გუნდს. „სტიაუას" ესპანურ კლუბებთან მაინცდამაინც ცუდი ბალანსი არ აქვს, მაგრამ „ვალენსია" ბუქარესტელებისთვის საკმაოდ უხურხული მეტოქეა.

გალისიელთა რიგებში ამჟამად არეულობაა, რასაც რამდენიმე მოთამაშის არყოფნაც ემატება. „ლამურებს" ორი ნახევარმცველი — დავით ალბელდა და ფრანსისკო რუფეტე ვერ დაეხმარება. ტრავმა აქვს რობერტო აიალასაც, ხოლო მიგელ ანხელ ანგულო შვიდმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის.

„სტიაუას" თავისი ერთ-ერთი ლიდერის, ფლორიან ლუმინტრუს გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. მის ადგილს სავარაუდოდ გუნდის ახალწვეული ბანელ ნიკოლიცა დაიკავებს. საეჭვოა მეკარე მარტინ ტუდორის თამაშიც.

### სპორტინგი – ფეიენოორდი

ესენი ერთმანეთს ბოლოს 20 წლის წინ, უეფას თასის პირველ რაუნდში შეხვდნენ. იმ სეზონში, შემდეგ ეტაპზე ლისაბონელები გავიდნენ და მათი ახლანდელი თავკაცი ჟოზე პეშეირო გულშემატკივრებს ისტორიის გამეორებას ჰპირდება.

აღსანიშნავია, რომ „სპორტინგს" ჰოლანდიურ კლუბებთან ძალიან კარგი მოგონებები აკავშირებს, რადგანაც ლისაბონელები თითქმის ყველა ორთაბრძოლაში საბოლოო გამარჯვებას აღწევენ. „ფეიენოორდს" კი მაინცდამაინც კარგად არა აქვს დაცდილი პორტუგალიურ გუნდებთან პაექრობა.

როტერდამელებს თხუთმეტთვიანი პაუზის შემდეგ ბრაზილიელი ფორვარდი ლეონარდო დაუბრუნდათ, მაგრამ მისი თამაში საეჭვოა. უკვე გადაწყვეტილია, რომ „ფეიენოორდი" ვერ დაიხმარს მოსამ გალის, ხოლო შინჯი ონოსა და გაბორ ბაბოშის მწყობრში დაყენებას ექიმები ბოლო წუთებამდე ეცდებიან.

რაც შეეხება „სპორტინგს", ლისაბონელები მეტოქეს ყოველგვარი დანაკლისის გარეშე ხვდებიან.

**გიორგი კაკაბაძე**

| |
|---|
| პარტიზანი (სერბეთი) – დნიპრო (უკრაინა) |
| შახტარი (უკრაინა) – შალკე (გერმანია) |
| აიაქსი (ჰოლანდია) – ოსერი (საფრანგეთი) |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) – სევილია (ესპანეთი) |
| პარმა (იტალია) – შტუტგარტი (გერმანია) |
| აუსტრია (ავსტრია) – ბილბაო (ესპანეთი) |
| სპორტინგი (პორტუგალია) – ფეიენოორდი (ჰოლანდია) |
| ვალენსია (ესპანეთი) – სტიაუა (რუმინეთი) |



„პარმა" „შტუტგარტთან" ალბერტო ჯილარდინოს იმედადაა



„კრისტალ პალასის“ კარის ბადეში ბურთი ხუთჯერ აფართხალდა

# ანიმაციური 5:1

## არსენალის ისტორიულმა, ვენგერი ერიქსონის სამსახურზე დააეჭვა

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXVII ტური**

**არსენალი 5:1 კრისტალ პალასი**

1:0 ბერხკამპი (32), 2:0 რეიესი (35), 3:0 ანრი (39), 4:0 ვიეირა (54), 4:1 ჯონსონი (633), 5:1 ანრი (77)

**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სიგანი, კლიჩი, პირესი (ფაბრეგასი 80), ვიეირა, ედუ (ფლამინი 61), რეიესი, ანრი, ბერხკამპი (ვან პერსი 79)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**კრისტალ პალასი:** კირალი, ბოისი, ჰალი, სორონდო, გრენვილი, რუტლეჯი (ლაკისი 64), რიიჰილაჰტი (ლიგერტვუდი 31), ბ. ჰიუზი, სუარესი, ენდრიუ ჯონსონი, ფრიდმანი (კოლკა 64)

მწვრთნელი: იან დოუვი

გაფრთხილება: ვიეირა, რიიჰილაჰტი, სორონდო

მსაჯი: სტაილზი

38 056 მაყურებელი

**სამი** გატანილი გოლი პირველი ტაიმის შუალწუთიან მონაკვეთში და „არსენალი“ კვლავაც აგრძელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

„კრისტალ პალასმა“ კარგად დაიწყო თამაში „მეთოფეთა“ წინააღმდეგ და დუგი ფრიდმანს და ენდრიუ ჯონსონს უნდა გაეტანათ კიდეც, ოღონდ ყველაფერი გაირკვა მას შემდეგ, რაც დენის ბერხკამპმა ახლო კუთხიდან გახსნა ანგარიში, ხოლო ამას ხოსე ანტონიო რეიესმა მიაყოლა ლამის 20 იარდიდან ჩაჭედებული, რასაც ამოუსუნთქავად მიედევნა ტიერი ანრის სოლო და თამაშის ბედიც სწორედ ამ ანიმაციური ტემპით შეკრილმა გოლებმა გადაწყვიტა.

მერე პატრიკ ვიეირამ მეოთხე გაუტანა უნგრელ გაბორ კირალის, რასაც, როგორც იქნა უპასუხა ჯონსონმა და თანაც პენალტით, ბოლოს კი ბერხკამპმა კიდევ ერთი გაატანინა ანრის.

საბოლოოდ, 5:1, მაგრამ ამ თამაშში სხვა რამეც იყო საინტერესო — პირველად „არსენალის“ ისტორიაში მატჩის 16-კაციან განაცხადში არც ერთი ბრიტანელი არ იყო. სოლ კემპბელი და ეშლი კოული ტრავმირებულები არიან, სხვა კი არც იყო სათამაშო.

არსენ ვენგერმა თქვა, რომ სანამ მედიამ არ შეახსენა, არც კი დაფიქრებულა ამ შემთხვევაზე, ასე გამოვიდა და რა ვქნაო. ვენგერმა მოსწრებულადაც იხ[illegible]ა: „ტრიბუნაზე სვენ-გორან ერიკსონი შევნიშნე. საინტერესოა, ვის სანახავად მოვიდა? მაგან მგონი, სხვა ნაკრებთან მოაწერა ხელი“.

„არსენალი“ კი 11 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ჩელსის“ და ორით „მანჩესტერ იუნაიტედს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 27 | 21 | 5 | 1 | 50:8 | 68 |
| მანჩესტერი | 27 | 17 | 8 | 2 | 45:16 | 59 |
| არსენალი | 27 | 17 | 6 | 4 | 63:31 | 57 |
| ევერტონი | 27 | 14 | 6 | 7 | 31:28 | 48 |
| ლივერპული | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 43 |
| მიდლსბრო | 27 | 11 | 8 | 8 | 41:35 | 41 |
| ბოლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 35:32 | 40 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 5 | 10 | 30:36 | 38 |
| ტოტენჰემი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:30 | 36 |
| ასტონ ვილა | 27 | 9 | 8 | 10 | 31:34 | 35 |
| სიტი | 27 | 8 | 9 | 10 | 31:29 | 33 |
| ბირმინგემი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:33 | 32 |
| ნიუკასლი | 26 | 7 | 10 | 9 | 37:43 | 31 |
| პორტსმუთი | 27 | 8 | 6 | 13 | 30:40 | 30 |
| ფულემი | 26 | 8 | 5 | 13 | 33:44 | 29 |
| ბლეკბერნი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:36 | 28 |
| კრ. პალასი | 27 | 5 | 7 | 15 | 30:45 | 22 |
| ნორვიჩი | 27 | 3 | 11 | 13 | 26:52 | 20 |
| საუთჰემპტონი | 26 | 3 | 10 | 13 | 28:43 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 2 | 11 | 13 | 23:49 | 17 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 19 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 16 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 11 |
| პირესი (არსენალი) | 10 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 10 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 10 |

*„ევერტონ“ — „მანჩესტერის“ საშაბათო მატჩისთვის ერთი ცნობა გაზმიანდა: „მანჩესტერი“ ძალიან უფრთხის, რომ „ევერტონის“ გიჟმაჟმა გულშემატკივრებმა რაიმე არ მოსწიონ უეინ რუნის, რომლისთვისაც ჯერაც ვერ უპატიებიათ კლუბის მიტოვება*

# ჯინჯერი, რუნი და ბიტი

**ამიტომ**, ყრმა ვარსკვლავს ორი პირადი მცველი ეყოლება მშობლიურ ქალაქში. ამათგან ერთი კი მცველთა წრეებში ძალიან ცნობილი ვინმე, ელიტური SAS-ის ყოფილი სალდათი, მეტსახელად „ჯინჯერი“ ყოფილა, სიმაღლით ბარე ორმეტრიანი.

ასეა, მშობლიურ ქალაქში რომ სხვის სამოსში ჩადიხარ.

„ევერტონში“ კი კვლავაც იმ ამბავზე ლაპარაკობენ, ჯეიმს ბიტის რომ შეემთხვა შაბათს: ჩელსელ უილიამ გალასს თავი ჩასცხო კეფაში და თამაშის დასაწყისშივე გააძევეს, რამაც გუნდი უმძიმეს დღეში ჩააყენა.

ბიტიმ ყველას მოუბოდიშა: გუნდს, მენეჯერს, ფანებს, ოღონდაც, გუნდი მაინც ნაწყენი დარჩენილა.

იტალიელმა მცველმა ალესანდრო პისტონემ თქვა: „11 კაცითაც ძნელი სათამაშო იყო და ათს რაღა დაგვემართებოდა. ასეთი რამ არ უნდა ჩაედინაო“.

„ევერტონში“ სულ ერთი თვის გადასულ ბიტის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ისედაც გამოუწერეს, კლუბმა კი მთელი 60 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

ამის მიუხედავად, მენეჯერი დევიდ მოიესი ფეხბურთელს აძნევებს: „თავი მაღლა გეჭიროს ჯეიმს, უარესებიც ხდება“.

ბიტი, ცხადია, ვერ ითამაშებს „მანჩესტერის“ წინააღმდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჯეიმზ ბიტიმ მოიბოდიშა





უეინ რუნის მშობლიურ ლივერპულში ბოდიგარდი დაიცავს





რობერტ ჰოიზერი

# შავი ცხვარი და სამი ხორვატი

## ბლატერმა მსოფლიო გააფრთხილა

*ბერლინის მაგისტრატურამ მატჩების ჩაწყობაში ეჭვმიტანილ 25 წლის მსაჯს, სკანდალურად ცნობილ რობერტ ჰოიზერს საკნიდან გაშვებაზე უარი უთხრა. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ შაბათს დაკავებული ჰოიზერი უნდა დარჩეს საპატიმროში, რადგან იგი ორგანიზებულ დანაშაულშია ეჭვმიტანილი და არსებობს მიმალვის საშიშროება*

**ამასობაში**, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა დაადასტურა, რომ ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა კიდევ ერთ მსაჯს, ტორსტენ კოოპს, რომელთანაც ჰოიზერს ნახსენები ჰქონდა გარიგებული თამაშების ამბავი, მან კი კავშირის ხელმძღვანელებს საქმის არსი არ გააცნო.

კოოპი ბუნდესლიგის შეხვედრებს 1996 წლიდან ემსახურება. გასულ ხუთშაბათს მან განაცხადა, რომ ჰოიზერი იანვარში გამართული მსაჯთა შეკრების დროს მის გადაბირებასა და საქმეში ჩათრევას ცდილობდა.

კოოპი ბოლო პერიოდში დაშავებული გახლდათ და ამიტომ იყო სცენიდან დროებით გამქრალი. ორშაბათს, გერმანიის საფეხბურთო კავშირის საგანგებო კომიტეტის თათბირს კი იგი არ დასწრებია.

რა აღიარა რობერტ ჰოიზერმა? როგორც ჯერჯერობით არის ცნობილი, მსაჯმა გამოძიებას გერმანიის დაბალი ლიგებისა და ქვეყნის თასის რამდენიმე შეხვედრის ჩაწყობის შესახებ უამბო. ჩაწყობის მექანიზმი რომელიღაც ტოტალიზატორთან კავშირი გახლდათ. სადღეისოდ ბერლინის პროკურატურას ეჭვქვეშ ჰყავს 25 ადამიანი, მათ შორის ჰოიზერის გარდა სამი მსაჯია, ხოლო თოთხმეტი ფეხბურთელი.

ამ ოცდახუთ კაცში შედის სამი ხორვატი ძმა, რომლებიც, ეჭვის თანახმად, ორგანიზებულ დანაშაულს ხელს უწყობდნენ. მაგისტრატურის გადაწყვეტილებით, წინასწარი პატიმრობიდან არც ხორვატი ძმები თავისუფლდებიან.

როგორც ცნობილი გახდა, ფიფას მომდევნო თვის აღმასკომზე მთავარი თემა სწორედ „ფეხბურთი და ტოტალიზატორები“ იქნება. პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ამ დღეებში ფრანკფურტში, მსაჯთა სამუშაო შეხვედრაზე, ეგრეთწოდებულ „უორკშოპზე“ ბრძანდებოდა და განაცხადა, რომ სპორტმა კორუფციისგან თავი უნდა დაიხსნას.

„ის რაც გერმანიაში ხდება, ყველა ჩვენგანის გაფრთხილებაა“ — უთხრა ბლატერმა „შპიგელის“ კორესპონდენტს. შემდეგ პრეზიდენტმა მსაჯებს დიდი ნდობა გამოუცხადა და იმედი გამოთქვა, რომ ჰოიზერის ამბავი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისს ხელს არ შეუშლის.

„მსაჯებს აბსოლუტურად ვენდობი — დასძინა ბლატერი — ჩვენ მთელს მსოფლიოში 720 ათასი მსაჯი გვყავს, ხოლო ერთი შავი ცხვარი ყველგან შეიძლება გამოერიოს“.

**პაატა ძიდია**

# ლივერანის სტრიპტიზ-შოუ



ფოტოზე რომ კაცს ხედავთ, ასეთზე გურულები იტყოდნენ, გააბდღლებულა საწყალიო. არადა, რომის „ლაციოს" ნახევარმცველი ფაბიო ლივერანი — სწორედ ის არის ფოტოზე აღბეჭდილი — სრულ ჭკუაზეა.

ლივერანიმ ტრუს-მაისურა „სტადიო ოლიმპიკოზე" შემოიხია და „ლაციოს" ქომაგებს უსახსოვრა. ვფიქრობთ, დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, თუ რატომ წაუსტრიპტიზა ფაბიომ.

სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი „ლაციო" კვირას მასავით მაჩანჩალა „ატალანტას" მასპინძლობდა. ერთი სიტყვით, პრინციპული მატჩი იყო. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მერე ფაბიო ბაცანიმ შეძლო გათანაბრება და შეხვედრაც ფრისკენ მიექანებოდა, როცა 89-ე წუთზე ლივერანიმ გაიტანა. „ლაციოს" გამარჯვების შემოქმედმა გოლი სწორედ ასე აღნიშნა. მსაჯის საფინალო სასტვენის მერე კი თითქმის დედიშობილა შეტანტალდა გასახდელში.

შევნიშნოთ, რომ მსაჯს რომაელი არც გაუფრთხილებია, არადა, მხოლოდ მაისურის გახდა ყვითელი ბარათით ისჯება.

**ბახა ხურციძე**

# როსონერის სამში ერთი

## პირლოს ბარონიო, პიზარო ან ხავი შეცვლის

**დღეს** „მილანს" ანდრეა პირლოს სრულფასოვანი შემცვლელი ნამდვილად არ ჰყავს და შექმნილი ვითარებაც აუცილებლად უნდა გამოვასწოროთო — განაცხადა „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ამ რამდენიმე დღის წინ.



ზაფხულში მოკარახჭინდება ენახოთ, რა გამოუვა ბოლოს ბრაიდას. ზემოხსენებული სამეულიდან რომელს მოარგებს „მილანის" მაისურას.

გალიანი რომ შეფიქრიანებულია, გუშინაც გაცნობეთ. ახალი კი ისაა, რომ სინიორ ადრიანომ „მილანის" სატრანსფერო საქმეთა გამრიგეს, არიედო ბრაიდას საგანგებო დავალება მისცა, პირლოს შემცვლელი სასწრაფოდ გვჭირდება და აბა, შენ იცი, დაფაცურდიო.

ბრაიდაც მიდგა, მოდგა და სამიზნეები ამოარჩია: კიევოელი რობერტო ბარონიო, რომელიც ახლა იჯარით რომის „ლაციოში" თამაშობს, „იუვენტუსისა" და „ინტერის" უმთავრესი სამიზნე, „უდინეზეს" ჩილელი დავიდ პიზარო და კატალონიური „ბარსელონას" ფუტკარივით მუშა ნახევარმცველი ხავი ერნანდესი.

ამბობენ, რომ რაკი ახლა სატრანსფერო სეზონი დახურულია, საქმე

**გიორგი ვაშაკიძე**

# ომი რომში

## საზარბაზნე ხორცი — ანჯელო პერუცი

**ხომ გახსოვთ,** „ინტერის" სერბმა ლეგიონერმა სინიშა მიხაილოვიჩმა უქმეებზე ორი ბრწყინვალე საჯარიმო რომ შეუგდო „რომას".

ჰოდა, დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობამ „სან სიროზე" 0:2 მარცხის მთავარი დამნაშავის ვინაობა გამოამზეურა — მეკარე ივან პელიცოლი.

ძველი ამბავია, „რომაში" ჯერ კიდევ კაპელოს დროს არ მოსწონდათ პელიცოლის თამაში, ახლა კი „ბებერმა" სინიშამაც დაასხა ცეცხლზე ნავთი.

ერთი სიტყვით, „რომა" ახალი მეკარის ძიებაშია და გუშინ მთელ იტალიაში და განსაკუთრებით დედაქალაქში, მეხივით გავარდა ახალი ამბავი — „რომა" ანჯელო პერუცის გადაყვანას აპირებსო.

ხომ იცით, სადაც თამაშობს პერუცი? დიახ, მართალი ბრძანდე-



ბით — „რომას" მოძულე და მოსისხლე „ლაციოში". საინტერესო კი ისაა, რომ პერუცის კარიერა 1986 წელს სწორედ „ჯალოროსოში" ანუ „რომაში" დაიწყო.

მოკლედ, გადავა თუ არა პერუცი „რომაში", ახლა ძნელი სათქმელია, თუმცა ლუიჯი დელ ნერის მის ალტერნატივად „უდინეზეს" ახალგაზრდა გოლკიპერი მორგან დე სანქტისიც შეუგულებია.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „მანჩესტერის" ირლანდიელმა კაპიტანმა როი კინმა შესაძლოა, ფეხბურთიდან წასვლა გადაიფიქროს. „თუ სეზონის ბოლოს ანაც ერთი წლის შემდეგ ძველი ტრავმები არ შემაწუხებს, ვინ იცის, ეგებ კარიერის დასრულებაზე აღარც ვიფიქრო. რამდენიმე დღის წინ ალექს ფერგიუსონს შევხვდი და მან მითხრა, რომ სწორედ იგი დაადგენს ჩემი ფეხბურთიდან წასვლის თარიღს" — თქვა კინმა.

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ ფრანკო კარარო აირჩიეს. თუმც ამ უკანასკნელმა თავისი პოსტი საინტერესო გარიგების ხარჯზე შეინარჩუნა. კარარო მის კონკურენტსა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ჯანკარლო აბატეს შეუთანხმდა, რომ ამ თანამდებობაზე მხოლოდ ორი წლით, 2006 წლის ბოლომდე დარჩება, მერე კი იტალიურ ფეხბურთს სწორედ აბატე უხელმძღვანელებს.

**რუსული** „ტორპედო" ორი პერსპექტიული მოთამაშის შემატებას აპირებს. მოსკოვურ გუნდში 21 წლის სლოვაკი ფორვარდი როლანდ შტევკო და მისი თანატოლი მაკედონიელი ნახევარმცველი ატო სტოიკოვი ვარჯიშობენ. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი მილანის „ინტერის" საკუთრებაა, თუმცა, იტალიელებს მისი გასხვისება სურთ.

**ინგლისური** „ჩელსის" თავდამსხმელი დიდიე დროგბა არ ნანობს, რომ საფრანგეთის ნაკრებში თამაშს თავისი ისტორიული სამშობლოს, კოტ დივუარის ნაკრების მაისურის მორგება არჩია. „ხუთი წლიდან საფრანგეთში ვცხოვრობ, ფრანგული პასპორტიც მაქვს, მაგრამ კოტ დივუარი ჩემი ნამდვილი სამშობლოა და ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცი. ძალიან მინდა, მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მოხვედრა. ეს ჩვენი ერისთვის დიდი ზეიმი იქნება" — განაცხადა დროგბამ.

**შოტლანდიურ** „რეინჯერსში" დაბრუნება ყოფილ კაპიტან ლორენცო ამორუზოს სურს. 33 წლის იტალიელი ტრავმებმა გააწამა და ინგლისური „ბლექბერნის" ძირითადში ველარ ხვდება. „თუ გლაზგოელებს ცენტრალური მცველი სჭირდებათ და წინადადებას შემომთავაზებენ, დიდი სიამოვნებით მივიღებ. სიმართლე გითხრათ, მეგონა „ჩაფრები" იანვარშივე დამიკავშირდებოდნენ" — აღნიშნა ამორუზომ. შევახსენებთ, რომ „ბლექბერნიდან" „აიბროქსზე" უკვე დაბრუნდა „რეინჯერსის" კიდევ ერთი ყოფილი კაპიტანი ბარი ფერგიუსონი.

**ესპანური** „სოსიედადის" პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თურქი ნიჰათ კაჰვეჩი სეზონის ბოლომდე გუნდს არ დატოვებს. „იგი ჩვენი საუკეთესო ბომბარდირი და კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა" — დასძინა ხოსე ლუის ასტიასარანმა. გეცოდინებათ, ნიჰათის შეძენა მოსკოვურ ცსკა-ს სურს.

**ეგვიპტელმა** ფორვარდმა აჰმედ ჰოსამ მიდომ ეროვნული გუნდის თავკაცსა და ჟურნალისტებს ბოდიში მოუხადა. შევახსენებთ, რომ მიდომ გასულ წელს თავისი ინიციატივით კამერუნთან მატჩში თამაშზე უარი თქვა, რის მერეც მარკო ტარდელის აღარც გამოუძახია. „მე ვესაუბრე მწვრთნელს და მოვუბოდიშე. ვიცი, რომ დამნაშავე ვარ ჟურნალისტებთანაც, რადგანაც ხშირად ძალიან უხეში ვიყავი, თუმც ახლა მეტი გამოცდილება მაქვს, ჭკუა საკუთარ შეცდომებზე ვისწავლე. ეგვიპტის ნაკრების ინტერესებს პირადულზე მაღლა არასდროს დავაყენებ" — განაცხადა მიდომ.

**რუსულმა** „კრილიამ" ჩილელი მეკარე შეიძინა. 23 წლის ედუარდ ლობოსმა სამარელებთან ერთად რამდენიმე კვირა გაატარა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. შეთანხმების სხვა დეტალები უცნობია.

**ინგლისური** „ჩელსის" ისლანდიელმა ფორვარდმა ეიდურ გუდიონსენმა „ევერტონის" კარში გატანილი გოლი თავისებურად აღნიშნა. იგი ლონდონთან გარეუბანში პოლიციამ მაშინ დააკავა, როცა მანქანას ნასვამი მართავდა. გუდიონსენი მერე თავდებით კი გამოუშვეს, მაგრამ ფაქტია, ეიდურს სასამართლო პროცესი და მცირე სასჯელი არ ასცდება.

**ესპანური** „ვალენსიას" პრეზიდენტმა ხუან სოლერმა მწვრთნელ კლაუდიო რანიერის მხარდაჭერა აღუთქვა. „30 ივნისს შევიკრიბებით და საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებთ. ჯერ ნამდვილად არ არის ცნობილი, დატოვებს თუ არა კლაუდიო პოსტს. უაზრო ჭორები და კრიტიკა კი ისევ ჩვენს გუნდს ვნებს, თანაც უეფას თასის მატჩების წინ" — თქვა სოლერმა.

**იტალიური** „რომას" ნახევარმცველ ამანტინო მანსინით კიდევ ერთი კლუბი დაინტერესდა — ბრაზილიელს თვალი მადრიდის „ატლეტიკომაც" დაადგა. ესპანური გუნდის შეფობა უახლოეს მომავალში მოლაპარაკების დაწყებასაც გეგმავს რომაელ კოლეგებთან. შევახსენებთ, რომ მანსინის ხელში ჩაგდება „ატლეტიკოს" თანაქალაქელ „რეალსაც" სურს.

## იტალია

### სერია B. XXVI ტური

**ტრევიზო 1:1 ასკოლი**

1:0 რეგინალდო (23), 1:1 ბუკი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 26 | 13 | 10 | 3 | 46:25 | 49 |
| ემპოლი | 26 | 12 | 9 | 5 | 37:22 | 45 |
| ვერონა | 26 | 13 | 5 | 8 | 47:32 | 44 |
| პერუჯა | 26 | 12 | 8 | 6 | 33:22 | 44 |
| ტორინო | 26 | 13 | 5 | 8 | 31:23 | 44 |
| ტრევიზო | 26 | 12 | 6 | 8 | 30:27 | 42 |
| ასკოლი | 26 | 11 | 8 | 7 | 36:33 | 41 |
| ჩეზენა | 26 | 10 | 7 | 9 | 32:34 | 37 |
| პიაჩენცა | 26 | 11 | 3 | 12 | 29:32 | 36 |
| ვიჩენცა | 26 | 10 | 5 | 11 | 40:40 | 35 |
| კატანია | 26 | 8 | 11 | 7 | 27:29 | 35 |
| ალბინოლეფე | 26 | 9 | 7 | 10 | 36:32 | 34 |
| ტერნანა | 26 | 8 | 10 | 8 | 30:31 | 34 |
| არეცო | 26 | 6 | 13 | 7 | 36:33 | 31 |
| მოდენა | 26 | 10 | 5 | 11 | 28:29 | 31 |
| ბარი | 26 | 7 | 11 | 8 | 25:26 | 31 |
| პესკარა | 26 | 7 | 10 | 9 | 25:36 | 31 |
| ტრიესტინა | 26 | 8 | 6 | 12 | 27:36 | 30 |
| სალერნიტანა | 26 | 7 | 7 | 12 | 33:40 | 28 |
| კროტონე | 26 | 6 | 8 | 12 | 26:33 | 23 |
| კატანძარო | 26 | 5 | 6 | 15 | 24:48 | 21 |
| ვენეცია | 26 | 4 | 8 | 14 | 19:34 | 20 |

*მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა*

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXI ტური

**კიოლნი 2:2 კარლსრუე**

0:1 მასმანიდისი (6), 1:1 შპრინგერი (47), 1:2 მასმანიდისი (50), 2:2 ებერსი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 34:21 | 42 |
| კიოლნი | 21 | 12 | 5 | 4 | 42:24 | 41 |
| ფიურტი | 21 | 12 | 4 | 5 | 35:23 | 40 |
| ალემანია | 21 | 10 | 4 | 7 | 41:23 | 34 |
| ზაარბრიუკენი | 21 | 9 | 4 | 8 | 32:26 | 31 |
| აინტრახტი | 21 | 9 | 4 | 8 | 35:33 | 31 |
| მიუნხენი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:30 | 31 |
| აუე | 21 | 9 | 3 | 9 | 30:24 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 8 | 5 | 8 | 29:34 | 29 |
| უნტერჰახინგი | 21 | 8 | 2 | 11 | 32:34 | 26 |
| ტრირი | 21 | 5 | 11 | 5 | 29:33 | 26 |
| კოტბუსი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:28 | 26 |
| ალენი | 21 | 6 | 7 | 8 | 21:24 | 25 |
| კარლსრუე | 21 | 5 | 7 | 9 | 25:33 | 22 |
| ესენი | 21 | 4 | 10 | 7 | 27:36 | 22 |
| ობერჰაუზენი | 21 | 6 | 4 | 11 | 25:40 | 22 |
| დინამო | 21 | 6 | 3 | 12 | 27:39 | 21 |
| ერფურტი | 21 | 4 | 8 | 9 | 18:31 | 20 |

# რამ შეაშფოთა კაპელო? რეალს იღბალი დაუმეგობრდა

*„რეალ“ — „იუვენტუსის“ საჩემპიონთალიგო პირველ მერვედფინალურ მატჩამდე ერთი კვირაა დარჩენილი, თუმც ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები და ქომაგები მოახლოებულ დუელზე უკვე ალაპარაკდნენ. ტურინელთა თავკაცი და „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო მომავალი მეტოქის თამაშებს ყურადღებით ადევნებს თვალს და ახლახან იტალიურ მედიას „ელ გალაქტიკოს“ ავ-კარგიანობაზე ესაუბრა*



„მე ვუყურე „რეალის“ „ოსასუნასთან“ შეხვედრას და გეტყვით, რომ ძალიან შეშფოთებული დავრჩი. მადრიდელებმა ცუდად კი ითამაშეს, მაგრამ მაინც მოიგეს. ამით იმის თქმა მსურს, რომ ამ ბოლო ხანს „რეალს“ ბედი აშკარად წყალობს — ამბობს კაპელო — ასეთ იღბალა გუნდთან ყურადღების მოდუნება დამღუპველია. ერთიცაა, მადრიდელებმა ზედიზედ 6 მატჩი მოიგეს და ახლა, ალბათ, გუნდიც ფსიქოლოგიურად მომაგრდა“.

„ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელი თავისი გუნდისგან უშეღავათო ბრძოლას ელის და გამარჯვებაშიც დარწმუნებულია, თან პირველივე მატჩში „სანტიაგო ბერნაბეუზე.“

„მჯერა, რომ მეოთხედფინალში „იუვე“ გავა, თუმც ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. წილისყრის შემდეგ სპეციალისტთა უმეტესობამ წყვილის ფავორიტად სწორედ „იუვენტუსი“ მიიჩნია. დეკემბერში ჩვენ მართლაც უკეთ გამოვიყურებოდით, მადრიდელები კი სასურველი ფორმისგან შორს იყვნენ. მაგრამ, მაშინ მე ვთქვი, რომ „რეალის“ ჩავარდნა დროებითი იყო და ესპანელები თებერვლის მიწურულს მოყოჩაღდებოდნენ, ასეც მოხდა“.

კაპელოს აზრით, „ელ გალაქტიკოს“ მოფერიანება ვანდერლეი ლუშემბურგოს დამსახურებაა.

„ლუშემბურგოს მისვლის დღიდან „რეალი“ სულ უფრო უკეთ და უკეთ ათამაშდა. ვანდერლეიმ გადაჭრა მთავარი პრობლემაც, ახლა გუნდი გამართულად თამაშობს დაცვაში — შეაქო იტალიელმა ბრაზილიელი კოლეგა და იქვე მადრიდელთა სამი ფეხბურთელი გამოარჩია — წლებს თავისი მიაქვს, მაგრამ რაული მაინც შეუდარებელია, იგი ბოლომდე იხარჯება და თანაგუნდელებსაც თავდაუზოგავი ბრძოლისკენ მოუწოდებს, რაული ნაღდი კაპიტანია. ყოველთვის ვამბობდი, რომ გუტი ფენომენალური ფეხბურთელია, მის დარ მოაზროვნე მოთამაშეს ბევრს ვერ იპოვით. ვალტერ სამუელი კი, ჩემი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, მე კარგად ვიცნობ მას და ვიცი მისი შესაძლებლობები. სამუელს იოლად შეუძლია გაუმკლავდეს სამ-ოთხ თავდამსხმელს“.

მიუხედავად ამ სამეულის გამორჩევისა, ფაბიო კაპელო მაინც „რეალის“ მეგავარსკვლავებს უფრთხის.

„ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ და რონალდო — აი, ფეხბურთელები, რომელთაც ინდივიდუალურად შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა, ამიტომ მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ“.

„რეალ“ — „იუვენტუსის“ პირველი მატჩი კი 22 თებერვალს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება.

**სოსო ქოტორეიშვილი**

# პაველ წინასწარმეტყველი
## ბებერმა ნედვედმა პენალტები თქვა

*ზუსტად ერთი კვირაც და ჩემპიონთა ლიგა დიდი მატჩებით ისევ შეგვახსენებს თავს — მერვედფინალებიდან ოთხი ისეთია, ფეხბურთის გურმანი ხელებს რომ მოიფშვნეტს. ერთი-ერთი ასეთი კი გახლავთ მადრიდის „რეალისა“ და ტურინის „იუვენტუსის“ დაპირისპირება.*

*ცხადია, მატჩებს ხიბლს პაველ ნედვედის ჩაუქობაც შემატებს. „იუვეს“ ქომაგების გასახარად, ჩეხი მძიმე ტრავმის შემდეგ უკვე მომჯობინდა.*

*მადრიდული „ასი“ პაველ ნედვედს გაესაუბრა, „იუვენტუსის“ ლიდერმაც ძირითადად მოახლოებულ დიდ მატჩზე ილაპარაკა*



— როგორც იქნა, გამოკეთდით...

— საბედნიეროდ, ასეა. მართალია, საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ საქმეები კარგად მიმდის და ვგონებ, თამაშს უკვე ამ შაბათ-კვირას მოვახერხებ.

**— „რეალთან“ მატჩისთვის სასურველი ფორმის აღდგენას მოასწრებთ?**

— წინასწარ ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. მოვა თამაშის დღე და...

**— ფავორიტი რომელია?**

— ასეთი დონის მატჩებს ფავორიტი უბრალოდ, არ ჰყავს. შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.

**— „რეალის“ ფეხბურთელებიდან უფრო რომელს უფრთხით?**

— რომელი ერთი დაგისახელოთ, რაული, ზიდანი, რონალდო... მოკლედ, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, „რეალს“ ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. მაგრამ მე ყველაზე მეტად ხიფათს რაულისგან ველი — ძალიან უხერხული მეტოქეა. საჯარიმოში თავისუფალი სივრცე რომ დაუტოვო, მორჩა — მაშინვე გოლით დაგასაჩუქრებს.

**— ალბათ, რაული ამ სიტყვებს კომპლიმენტად აღიქვამს, ესპანეთში ხომ ცხარედ კამათობენ „რეალის“ კაპიტნის ძირითადში ყოფნა-არყოფნაზე...**

— რაული პირადად ჩემთვის ყოველთვის დიდი ჩემპიონია. მან „რეალისთვის“ და ესპანეთის ნაკრებისთვის ბევრი ფასდაუდებელი საქმე გააკეთა.

**— ვანდერლეი ლუშემბურგოზე ვთქვათ? ეთანხმებით იმ აზრს, რომ რაც ბრაზილიელი „რეალში“ მწვრთნელად მოვიდა, გუნდმა თამაშის ხარისხი აშკარად გააუმჯობესა...**

— ულაპარაკოდ. ლუშემბურგოზე ჯერ კიდევ ჩემმა აგენტმა, მიმორაიოლიმ მითხრა. რაიოლი ხშირად მოგზაურებს ბრაზილიაში და მადრიდელთა დამრიგებელს კარგად იცნობს. მიმომ მითხრა, რომ ვანდერლეი სერიოზული, ძალიან გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელია, წარმოუდგენლად ბევრს შრომობს.

**— ამბობენ „რეალი“ „ბებრების“ გუნდიაო. არგუმენტად კი ფეხბურთელთა ასაკს ასახელებენ — ზიდანი 32-ისაა, ხოლო ფიგუ და რობერტო კარლოსი 31 წლისანი არიან...**

— ზუსტად ჩემი ტოლები ყოფილან და რა გამოდის, მეც ბებერი ვარ?

**— მაგას ვერ გკადრებთ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თქვენ მინდორზე ყმაწვილივით გამოიყურებით...**

— მაშინ გეტყვით, რომ მინდორზე ყველაზე საშიში სწორედ რომ ასაკშეპარული ფეხბურთელია. მას ხომ სულით და გულით სურს დაამტკიცოს თავისი სიძლიერე და ამიტომაც ნებისმიერ მატჩში ათმაგი მონდომებით იბრძვის. „რეალიც“ ასეა, მათი „ბებრები“ ყველაფერს გაიღებენ, წლეულს თუნდაც ერთი ჯილდო რომ მოიგონ.

**— წინასწარ თუ წარმოგიდგენიათ, „იუვენტუსი“ როგორ ფეხბურთს ითამაშებს...**

— ვფიქრობ, ჩვენი სათამაშო სტილი თუ მენტალიტეტი არ შეიცვლება. ერთი ნაღდია, „იუვე“ ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ ერთი მიზნისთვის, მის დასამარცხებლად გადის მინდორზე.

**— „რეალის“ აქილევსის ქუსლი ანუ სუსტი წერტილი რაღაა?**

— აქვს კი „რეალს“ ასეთი?

**— მაშინ „იუვენტუსისაზე“ გვითხარით...**

— როცა ორი თანაბარძალოვანი გუნდი თამაშობს, უმეტესად ბედი პენალტების სერიით ანაც შემთხვევითი გოლით წყდება. ვფიქრობ, ახლა სწორედ ასე მოხდება.

**— საპასუხო მატჩი „დელე ალპიზეა“, გაგიმართლათ?**

— ვერაფერს გეტყვით, ამას ვერც გამართლებას დავარქმევდი. თუ მოგება გვინდა, ყველგან უნდა მოვიგოთ.

**— ბოლოს „რეალის“ თამაში როდის ნახეთ?**

— მადრიდელებმა ბექემისა და სალგადოს გოლებით „ნუმანსიას“ მოუგეს 2:1.

**— სალგადოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „საიდუმლო იარაღი“ შეარქვეს. და იცით, რატომ? „იუვე“ რომ რონალდოსა და რაულის დაკეტვაზე იზრუნებს, მიჩელი გოლებს გაიტანსო...**

— რა გაეწყობა, მაშინ სალგადოც უნდა დავკეტოთ. ისე, ხუმრობა იქით იყოს და რჩევისთვის მადლობთ.

**— გეტყვით იმასაც, რომ „რეალი“ რევანშისთვისაც ემზადება...**

— მჯერა რომ ასეც იქნება, რადგან მაშინდელ, 2003 წლის ლიგის ნახევარფინალში „რეალი“ აშკარად დავჯაბნეთ.

**— ცოტა ხნის წინ, ზინედინ ზიდანმა თქვა, ფეხბურთის თამაში ჯერ არ დამვიწყებიაო...**

— არ ვიცი, „ზიზუმ“ რატომ თქვა ასე. მისი სათამაშო სტილი ხომ უბადლო ტექნიკასთანაა შერწყმული და როდესაც თამაშობს, მასზე უკეთესი არავინაა.

**— ვინ არის საუკეთესი მეკარე ჯიჯი ბუფონი თუ იკერ კასილიასი?**

— მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც ბუფონს ვამჯობინებ.

**— მაშინ რონალდოსა და იბრაჰიმოვიჩზეც ვთქვათ...**

— ესეც ძნელი კითხვაა. რონიმ უკვე ყველაფერი მოიგო, იბრაჰიმოვიჩს კი თავისი საუკეთესოობა ჯერაც დასამტკიცებელი აქვს.

**— და ბოლოს, ყველაზე უძნელესი შეკითხვა — ზიდანი თუ ნედვედი?**

— ცხადია, ზიდანი. ის ჩემზე კი არა, მსოფლიოშია ყველაზე საუკეთესო!

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ
## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. II ლიგა
**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 30 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |

### იტალია. სერია A
**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 135 | მესინა-იუვენტუსი | 5.2 | 3.2 | 1.7 | 1.98 | 1.28 | 1.11 |
| 22:30 | 136 | მილანი-კალიარი | 1.3 | 4.5 | 9.5 | 1.0 | 1.14 | 3.05 |
| 22:30 | 137 | მილანი-კალიარი 0:1 | 1.7 | 3.3 | 3.5 | | | |
| 22:30 | 138 | უდინეზე-ინტერი | 3.3 | 3.0 | 2.2 | 1.57 | 1.32 | 1.26 |

**20 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 139 | სიენა-ფიორენტინა | 2.3 | 2.8 | 3.3 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 17:00 | 140 | კიევო-ლაციო | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 141 | პალერმო-ლეჩე | 1.75 | 3.2 | 4.8 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 17:00 | 142 | რომა-ლივორნო | 1.45 | 3.8 | 7.1 | 1.04 | 1.2 | 2.47 |
| 17:00 | 143 | სამპდორია-რეჯინა | 1.8 | 3.0 | 4.9 | 1.12 | 1.31 | 1.86 |
| 17:00 | 144 | ატალანტა-ბოლონია | 2.85 | 3.0 | 2.45 | 1.46 | 1.31 | 1.34 |
| 17:00 | 145 | პარმა-ბრეშა | 1.85 | 3.0 | 4.6 | 1.14 | 1.31 | 1.81 |

### იტალია. სერია C1/A
**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 158 | პრო პატრია-სანჯოვანეზე | 2.15 | 2.6 | 3.65 | 1.17 | 1.35 | 1.51 |
| 16:30 | 159 | გროსეტო-ვიტორია | 1.45 | 3.3 | 7.5 | 1.0 | 1.21 | 2.29 |
| 22:30 | 160 | სპეცია-პიზა | 1.85 | 2.6 | 4.75 | 1.08 | 1.33 | 1.68 |
| 16:30 | 161 | ტორესი-ფროზინონე | 2.55 | 2.6 | 2.9 | 1.28 | 1.35 | 1.37 |
| 16:30 | 162 | აკირეალე-ფ.ანდრია | 2.0 | 2.7 | 3.9 | 1.14 | 1.32 | 1.59 |
| 22:30 | 163 | მანტოვა-კომო | 1.35 | 3.8 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.57 |
| 20:00 | 164 | ლუკეზე-კრემონეზე | 2.85 | 2.6 | 2.6 | 1.35 | 1.35 | 1.29 |
| 16:30 | 165 | ლუმეცანე-პისტოიეზე | 2.3 | 2.6 | 3.25 | 1.22 | 1.34 | 1.44 |
| 16:30 | 166 | პავია-პრატო | 1.35 | 3.8 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.57 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი
**18 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 214 | ტრუა-ნიორი | 1.6 | 3.2 | 6.0 | 1.06 | 1.26 | 2.08 |
| 22:00 | 215 | სედანი-რეიმსი | 1.8 | 2.9 | 5.0 | 1.11 | 1.32 | 1.83 |
| 22:00 | 216 | ლავალი-ლე ავრი | 1.8 | 3.0 | 4.6 | 1.12 | 1.29 | 1.81 |
| 22:00 | 217 | დიჟონი-ამიენი | 2.05 | 2.7 | 3.9 | 1.16 | 1.34 | 1.59 |
| 22:00 | 218 | მონპელიე-კლერმონი | 1.75 | 3.0 | 5.0 | 1.1 | 1.29 | 1.87 |
| 22:00 | 219 | შატორუ-კრეტეი | 1.7 | 2.9 | 6.0 | 1.07 | 1.32 | 1.95 |
| 22:00 | 220 | გრენობლი-გენიონი | 2.1 | 2.8 | 3.5 | 1.2 | 1.31 | 1.55 |
| 22:00 | 221 | ანჟე-გენგამი | 2.4 | 2.8 | 3.0 | 1.29 | 1.33 | 1.44 |

**20 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:15 | 222 | ლორიანი-ნანსი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 223 | ბრესტი-ლე მანი | 2.4 | 2.9 | 2.85 | 1.31 | 1.3 | 1.43 |

### უეფას თასი
**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 20:15 | 320 | შახტარი-შალკე | 2.4 | 3.1 | 2.85 | 1.35 | 1.3 | 1.48 |
| 21:00 | 321 | პანათინაიკოსი-სევილია | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 322 | აიაქსი-ოსერი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:30 | 323 | პარმა-შტუტგარტი | 2.6 | 3.0 | 2.55 | 1.39 | 1.28 | 1.37 |
| 22:45 | 324 | აუსტრია-ბილბაო | 2.7 | 3.1 | 2.4 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| 23:30 | 325 | ვალენსია-სტიაუა | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 23:45 | 326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |

**17 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 328 | ცსკა-ბენფიკა | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:00 | 329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 22:30 | 330 | ბაზელი-ლილი | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 22:30 | 331 | ალემანია-ალკმაარი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 20:30 | 332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 22:45 | 333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 22:45 | 334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |

### ინგლისი. თასი
**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 335 | ბარნლი-ბლექბერნი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 18:00 | 336 | ნიუკასლი-ჩელსი | 4.0 | 3.2 | 1.8 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 18:00 | 337 | ჩარლტონი-ლესტერი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 18:00 | 338 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.0 | 3.2 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 15:30 | 357 | არსენალი-შეფილდი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 18:00 | 358 | ბოლტონი-ფულემი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 359 | საუთჰემპტონი-ბრენტფორდი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 18:00 | 360 | ტოტენჰემი-ნოტინგემი | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |

### შოტლანდია
### თასი
**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 342 | კილმარნოკი-ჰართსი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |

### იტალია. თასი
**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 343 | ინტერი-ატალანტა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%


## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 344 | ატლეტიკო-ნუმანსია | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 345 | ესბიერგი-იურგორდენი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| 20:30 | 346 | გიოტებორგი-ტრომსიო | 1.6 | 3.6 | 4.7 | 1.1 | 1.19 | 2.03 |
| 20:30 | 347 | ბრანი-ოდენსე | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 20:30 | 348 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 349 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 350 | რუსენბორგი-ვოლერენგა | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 352 | ბოლივარი-სანტოსი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 23:45 | 353 | სპორტინგ კრისტალ[illegible] | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 354 | კარაკასი-ბახუილდი | 2.55 | 3.1 | 2.4 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 400 | ლულეო-ჰკ 71 | 1.95 | 4.2 | 2.2 | 1.33 | 1.03 | 1.44 |
| 21:00 | 401 | ფერიესტადი-ლინჩიოპინგი | 1.85 | 4.3 | 2.35 | 1.29 | 1.03 | 1.51 |
| 21:00 | 402 | მალმიო-ბრიუნესი | 2.15 | 4.3 | 2.05 | 1.43 | 1.04 | 1.38 |
| 21:00 | 403 | ტიმრე-ფრიოლუნდა | 2.15 | 4.2 | 2.0 | 1.42 | 1.03 | 1.35 |
| 21:00 | 404 | მორა-იურგორდენი | 2.1 | 4.2 | 2.05 | 1.39 | 1.03 | 1.37 |
| 21:00 | 405 | სიოდერტელიე-მოდო | 2.1 | 4.2 | 2.05 | 1.39 | 1.03 | 1.37 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 13:00 | 508 | აკ ბარსი-სპარტაკი | 1.15 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 2.88 |
| 13:00 | 509 | ცსკა-ლადა | 2.4 | 4.3 | 2.05 | 1.54 | 1.1 | 1.38 |
| 13:00 | 510 | ასკ-დინამო | 3.8 | 4.5 | 1.4 | 2.06 | 1.02 | 1.06 |
| 13:00 | 511 | სევერსტალი-მაგნიტოგორსკი | 2.35 | 4.4 | 2.1 | 1.53 | 1.1 | 1.42 |
| 13:00 | 512 | ნეფტეხიმიკი-ლოკომოტივი | 2.3 | 4.5 | 2.1 | 1.52 | 1.09 | 1.43 |
| 13:00 | 513 | მოლოტი-ს.იულაევი | 5.0 | 4.5 | 1.2 | 2.36 | 1.0 | 1.0 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 584 | პანელინიოსი-მარუსი | 3.0 | 12.0 | 1.2 | 2.4 | 1.0 | 1.09 |
| 18:00 | 585 | აეკ-მაკედონიკოსი | 1.15 | 12.0 | 3.5 | 1.04 | 1.0 | 2.7 |
| 18:00 | 586 | აპოლონი-პანიონიოსი | 1.55 | 12.0 | 2.2 | 1.37 | 1.0 | 1.85 |
| 18:00 | 587 | იონიკოსი-მენტი | 1.35 | 12.0 | 2.7 | 1.21 | 1.0 | 2.2 |
| 18:00 | 588 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 3.0 | 12.0 | 1.2 | 2.4 | 1.0 | 1.09 |
| 18:00 | 589 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1.65 | 12.0 | 2.1 | 1.45 | 1.0 | 1.78 |
| 20:15 | 590 | არისი-ლარისა | 1.05 | 12.0 | 5.0 | 1.0 | 1.0 | 3.52 |

CROCO BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.7 | 1.9 |
| 13320 | შახტარი-შალკე | 1.7 | 1.9 |
| 13321 | პანათინაიკოსი-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13322 | აიაქსი-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13323 | პარმა-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13324 | აუსტრია-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13325 | ვალენსია-სტიაუა | 2.0 | 1.6 |
| 13326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.7 | 1.9 |
| 13327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13328 | ცსკა-ბენფიკა | 1.7 | 1.9 |
| 13329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13330 | ბაზელი-ლილი | 1.7 | 1.9 |
| 13331 | ალემანია-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 13332 | გრაცერი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.45 | 2.4 |
| 14320 | შახტარი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 14321 | პანათინაიკოსი-სევილია | 1.8 | 2.0 |
| 14322 | აიაქსი-ოსერი | 1.65 | 2.3 |
| 14323 | პარმა-შტუტგარტი | 1.9 | 1.9 |
| 14324 | აუსტრია-ბილბაო | 1.95 | 1.85 |
| 14325 | ვალენსია-სტიაუა | 1.1 | 2.9 |
| 14326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.7 | 2.2 |
| 14327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.8 | 2.0 |
| 14328 | ცსკა-ბენფიკა | 1.7 | 2.2 |
| 14329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.65 | 2.3 |
| 14330 | ბაზელი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 14331 | ალემანია-ალკმაარი | 2.0 | 1.8 |
| 14332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.0 | 1.8 |
| 14333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 2.0 | 1.8 |
| 14334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.65 | 2.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15319 | პარტიზანი-დნეპრი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15320 | შახტარი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15321 | პანათინაიკოსი-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15322 | აიაქსი-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15323 | პარმა-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15324 | აუსტრია-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15325 | ვალენსია-სტიაუა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15328 | ცსკა-ბენფიკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15330 | ბაზელი-ლილი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15331 | ალემანია-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15332 | გრაცერი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.7 | 1.9 |
| 12320 | შახტარი-შალკე | 1.6 | 2.0 |
| 12321 | პანათინაიკოსი-სევილია | 1.6 | 2.0 |
| 12322 | აიაქსი-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 12323 | პარმა-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 12324 | აუსტრია-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 12325 | ვალენსია-სტიაუა | 1.7 | 1.9 |
| 12326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.7 | 1.9 |
| 12327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.6 | 2.0 |
| 12328 | ცსკა-ბენფიკა | 1.6 | 2.0 |
| 12329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12330 | ბაზელი-ლილი | 1.6 | 2.0 |
| 12331 | ალემანია-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 12332 | გრაცერი-მიდლსბრო | 1.6 | 2.0 |
| 12333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.6 | 2.0 |

## ფრის გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.25 | 2.95 |
| 16320 | შახტარი-შალკე | 1.55 | 2.0 |
| 16321 | პანათინაიკოსი-სევილია | 1.5 | 2.1 |
| 16322 | აიაქსი-ოსერი | 1.3 | 2.6 |
| 16323 | პარმა-შტუტგარტი | 1.85 | 1.7 |
| 16324 | აუსტრია-ბილბაო | 1.9 | 1.6 |
| 16325 | ვალენსია-სტიაუა | 1.05 | 5.5 |
| 16326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.35 | 2.55 |
| 16327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.5 | 2.1 |
| 16328 | ცსკა-ბენფიკა | 1.35 | 2.5 |
| 16329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.3 | 2.8 |
| 16330 | ბაზელი-ლილი | 1.55 | 1.9 |
| 16331 | ალემანია-ალკმაარი | 2.1 | 1.5 |
| 16332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.0 | 1.55 |
| 16333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 2.0 | 1.55 |
| 16334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.3 | 2.8 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.85 | 1.95 |
| 17320 | შახტარი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17321 | პანათინაიკოსი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17322 | აიაქსი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17323 | პარმა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | აუსტრია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17325 | ვალენსია-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ცსკა-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17330 | ბაზელი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ალემანია-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | გრაცერი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.6 | 1.8 |
| 18320 | შახტარი-შალკე | 2.5 | 1.4 |
| 18321 | პანათინაიკოსი-სევილია | 1.9 | 1.5 |
| 18322 | აიაქსი-ოსერი | 1.6 | 1.95 |
| 18323 | პარმა-შტუტგარტი | 2.7 | 1.3 |
| 18324 | აუსტრია-ბილბაო | 3.45 | 1.2 |
| 18325 | ვალენსია-სტიაუა | 1.05 | 5.0 |
| 18326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.8 | 1.8 |
| 18327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.95 | 1.5 |
| 18328 | ცსკა-ბენფიკა | 1.9 | 1.7 |
| 18329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.8 | 1.7 |
| 18330 | ბაზელი-ლილი | 2.45 | 1.35 |
| 18331 | ალემანია-ალკმაარი | 3.2 | 1.2 |
| 18332 | გრაცერი-მიდლსბრო | 3.2 | 1.2 |
| 18333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.8 | 1.15 |
| 18334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.7 | 1.85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11319 პარტიზანი-დნეპრი | 2.35 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11320 შახტარი-შალკე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11321 პანათინაიკოსი-სევილია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11322 აიაქსი-ოსერი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11323 პარმა-შტუტგარტი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11324 აუსტრია-ბილბაო | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11325 ვალენსია-სტიაუა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11326 სპორტინგი-ფეიენოორდი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11327 დინამო(კ)-ვილიარეალი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11328 ცსკა-ბენფიკა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11329 ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11330 ბაზელი-ლილი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11331 ალემანია-ალკმაარი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11332 გრაცერი-მიდლსბრო | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11333 ჰერენვენი-ნიუკასლი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11334 ოლიმპიაკოსი-სოშო | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10319 | პარტიზანი-დნეპრი | 2.0 | 2.1 | 4.9 | 1.02 | 1.42 | 1.47 |
| 10320 | შახტარი-შალკე | 2.8 | 2.0 | 3.15 | 1.16 | 1.48 | 1.22 |
| 10321 | პანათინაიკოსი-სევილია | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10322 | აიაქსი-ოსერი | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10323 | პარმა-შტუტგარტი | 3.1 | 2.0 | 3.0 | 1.21 | 1.52 | 1.2 |
| 10324 | აუსტრია-ბილბაო | 3.3 | 2.0 | 2.75 | 1.24 | 1.5 | 1.15 |
| 10325 | ვალენსია-სტიაუა | 1.45 | 2.5 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 1.84 |
| 10326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 2.6 | 2.0 | 3.45 | 1.13 | 1.48 | 1.26 |
| 10328 | ცსკა-ბენფიკა | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 2.15 | 2.0 | 4.5 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10330 | ბაზელი-ლილი | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10331 | ალემანია-ალკმაარი | 3.75 | 2.0 | 2.5 | 1.3 | 1.5 | 1.11 |
| 10332 | გრაცერი-მიდლსბრო | 3.65 | 2.0 | 2.6 | 1.29 | 1.51 | 1.13 |
| 10333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.7 | 2.0 | 2.55 | 1.29 | 1.5 | 1.12 |
| 10334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 2.15 | 2.0 | 4.3 | 1.03 | 1.43 | 1.36 |

# არმოსაწყენი ერთფეროვნება

## ვლადიმერ ბოისას მსაჯები და ჟურნალისტები სწყალობენ



[illegible] ფოტო

მას თავიდანვე კოჭებში ეტყობოდა, რომ დიდ კალათბურთს ითამაშებდა. ქერა, გამხდარი, მაღალი, სლავური გარეგნობის რუსთაველი ბიჭი უკვე 16 წლისა გახდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშე. ყველა მის ნიჭზე ლაპარაკობდა, მაგრამ ბევრისთვის მაინც სასიამოვნო მოულოდნელობაა ის, რასაც ვლადიმერ ბოისამ მიაღწია. სულ რაღაც 17 წლისას ევროპულმა გრანდმა „ოლიმპიამ" 6-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა და პირველი ორი სეზონი შედარებით სუსტ გუნდებში გაანათხოვრა. ახლა ამ კონტრაქტის ბოლო სეზონია და „ოლიმპიას" ბოისა არ ეთმობა. ან კი როგორ უნდა შეელიოს, როცა საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ალალად დაიმსახურა კაპიტნის სამკლავური და თითქმის ყოველი მატჩის ბომბარდირია. მისი პიკი ამ კვირას იყო, როცა ბოისამ 35 ქულა ჩაუგდო ხორვატიულ „სპლიტს" და „ოლიმპიაში" ბოლო წლების შედეგიანობის რეკორდი გამოაცხო...

— ოთხი წლის მანძილზე, რაც აქ ვთამაშობ, 35 ქულა არავის ჩაუგდია და არც მანამდე მახსოვს, ვინმეს ასეთი შედეგიანობა გამოეჩინოს — გვითხრა ვლადიმერ ბოისამ, როცა ლიუბლიანაში შევეხმიანეთ — თუმც ეს შედეგი ჩემთვის ბევრსაც არაფერს ნიშნავს. ეს სხვები არიან, რომ გაიძახიან, 35, 35 ქულაო, თორემ მე ოცზეც თანახმა ვიყავი, ოღონდ მოგვეგო.

**— ეს 35 ქულა შემთხვევითობა აღარაა. შენ „ოლიმპიას" ბომბარდირი ხარ და ამაზე რას იტყვი?**

— აქ კი ვარ ბომბარდირი, მაგრამ ზოგადად ეს შედეგიანობა ბევრიც არაფერია. „ოლიმპია" ყოველთვის გუნდური თამაშით გამოირჩეოდა და ცალკეულ მოთამაშეთა უხვქულიანობა იშვიათი მოვლენა იყო. იმიტომაცაა შესამჩნევი ჩემი ბომბარდირობა და ამაზე აქ ბევრს ლაპარაკობენ.

**— მაინც როგორ მოახერხე 35 ქულის მოგროვება, „სპლიტთან" მატჩის პერიპეტიები გაიხსენე...**

— ჩვეულებრივი მატჩი იყო. ეგაა, შორი სროლები წამოვიდა და მეც სამქულიანებს მივეძალე. პირველი 4 სროლიდან ყველა ჩავაგდე და 8 წუთში უკვე 18 ქულა მოვაგროვე. ერთი-ორი გარღვევა წარმატებით დავაგვირგვინე და ჯარიმაც ჩავაგდე. მოკლედ, ყველაფერი გამომდიოდა და ამ დროს მწვრთნელმა მოულოდნელად თამაშიდან გამიყვანა. მეც გავოცდი და მთელი დარბაზიც, მაგრამ ის კაცი არ ვარ, უკმაყოფილება გამოვთქვა ამის გამო.

**— თვლი, რომ არ უნდა გაეყვანე?**

— ჩემი აზრით, არა და ეს თამაშსაც შეეტყო. თითქმის მთელი მეორე მეოთხედი სკამზე გავატარე და სპლიტელებმაც ამ დროს შემოგვიტიეს. საბოლოოდ მწვრთნელი მაინც მართალი გამოვიდა, რაკი ის თამაში მოვიგეთ.

**— რა გამოხმაურება ჰქონდა შენს თამაშს „სპლიტთან"?**

— დამიჯერებ, რომ გითხრა, გაზეთი არ გადამიშლია-მეთქი? ჩემთვის ყოველი დღე ერთნაირია: დილას ვარჯიში, საღამოს ვარჯიში და ოჯახი. პრესას არც ვკითხულობ, შემთხვევით თუ ჩამივარდება გაზეთი ხელში. იმ ასაკიდან გამოვედი, გაზეთში ჩემი თავის დანახვა რომ გამიხარდეს. ბევრი მირეკავს, დღეს სტატია იყო შენს შესახებო. ახლაც დამირეკეს, გაზეთები აჭრელებულია შენი ფოტოებითო.

**— ეს იყო შენი კარიერის საუკეთესო მატჩი?**

— ქულების მხრივ, რა თქმა უნდა, ეს იყო. ისე კი, „მაკაბისთან" რომ ვითამაშე, იმას მივიჩნევ საუკეთესოდ. სად ევროპის რიგით გუნდთან გაკეთებული 35 ქულა და სად ევროლიგის ჩემპიონთან მოხვეჭილი 28. „მაკაბი" სუპერგრანდია და ის მატჩიც არასდროს დამავიწყდება.

**— ესაა შენი მაქსიმუმი?**

— 23 წლის ვარ და კარიერის პიკისთვის, ვთვლი, ჯერ არ მიმიღწევია. უაზრობაა და არაპროფესიონალიზმში ჩამეთვლება, რომ ვთქვა, ესაა ჩემი მაქსიმუმი-მეთქი. ვფიქრობ, უკეთ თამაშიც შემიძლია და ჩემი მიზანი ახლა ეს არის. მაგ კითხვაზე კი 4-5 წლის შემდეგ გაგცემ პასუხს.

**— შეადარე ორი წლის წინანდელი და ახლანდელი ვლადიმერ ბოისა...**

— შარშანწინ და თუნდაც შარშან გაცილებით გამოუცდელი ვიყავი და თავდაჯერებულობა [illegible] აკლდა. ვცდილობდი [illegible] თამაშა, მაგრამ ხეირიანად ვერ ვახერხებდი. ევროლიგაში პროცენტულად პირველ ადგილზე ვიყავი ჯარიმებში. ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, დაცვაში სუფთა თამაში არ ვიცოდი.

**— ასე უცებ როგორ შეიცვალე?**

— არ ვთვლი, რომ უცებ შევიცვალე. პროგრესი თანდათან მიდიოდა და ოდესღაც ხომ უნდა მესწავლა გამართული თამაში. ახლა კი ერთ-ერთი პირველი ვარ, ვისზეც პროცენტულად ყველაზე მეტს ჯარიმდებიან. თავდაჯერებულობაც მომემატა და კლასიც ამიმაღლდა — ესაა ჩემი წარმატებული თამაშის მიზეზი. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ხელს მსაჯებიც მიწყობენ. მათთან უკვე მოვიხვეჭე ავტორიტეტი და უცხოს, ახალბედას რომ დააჯარიმებენ, მე იგივე დარღვევაზე არ დამისტვენენ.

**— „ოლიმპიასთან" კონტრაქტი გისრულდება და ალბათ მძლავრი გუნდებიც აქედანვე იჭერენ თადარიგს...**

— ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ძლიერი გუნდები გამოჩნდებიან. ეს რომ ასე მოხდეს, სეზონი ჩავარდნის გარეშე უნდა ჩავამთავრო. ჩემი თავის იმედი მაქვს, ეგაა, ჯანმრთელობამ არ დამაღალატოს. ყველაზე მეტად ტრავმას ვუფრთხი.

**— „ოლიმპიამ" იცის, რომ წასვლას აპირებ?**

— იცის, მაგრამ საბოლოოდ რომ მაქვს გადაწყვეტილი ლიუბლიანადან წასვლა, ჯერ არ შეუტყვია. „ოლიმპია" ყველაფერს გააკეთებს, ახალ კონტრაქტზე რომ დამითანხმოს, მაგრამ მე ალბათ მაინც წავალ. ლიუბლიანელები ახლა ისეთს ვერაფერს შემომთავაზებენ, სხვა მდიდარი გუნდები რომ გადაწონონ. მე ესპანეთისკენ მიმიწევს გული, ოღონდ აუცილებლად ევროლიგის გუნდში.

**— არ იქნება, ნაკრებზეც არ დაგეკითხო. სულ მალე ახალი მწვრთნელი გვეყოლება...**

— არ ვიცი, ვინ იქნება ის... ვინც გინდა დანიშნონ, მე მაინც ჩამოვალ და ნაკრებისთვის ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავიღებ.

**ირაკლი პერტაია**



„ულქერის" ატამანი — ერგინ ატამანი

## ევროლიგა

Euroleague

# ევროლიგა სიყვარულში დააჯგუფეს

**წმინდა** ვალენტინის დღეს, 14 თებერვალს, ბარსელონაში ევროლიგის იმ 16 გუნდის კენჭისყრა გაიმართა, რომლებმაც წარმატებით გადალახეს საწყისი ჯგუფური ეტაპი.

მონაწილენი 4 ჯგუფში განაწილდნენ, საიდანაც მომდევნო ეტაპზე 2-2 საუკეთესო გავა. როგორც ხედავთ, შარშანდელთან შედარებით გათამაშების ფორმატი შეცვლილია და მეორე ჯგუფური ეტაპიდან პირდაპირ ოთხთა ფინალში გუნდები ვერ მოხვდებიან.

ოთხ ჯგუფში ნაყოჩაღევი 8 გუნდი მეოთხედფინალში დაწყვილდება და 5-დან 14 აპრილამდე სამმატჩიან საპლეიოფო სერიაში გაარკვევენ ოთხთა ფინალისტებს. მატჩები მიმოსვლით გაიმართება და მოედნის უპირატესობა რეიტინგით უკეთეს გუნდს ერგება.

ოთხთა ფინალს მოსკოვი უმასპინძლებს 6-8 მაისს, საკუთრივ ტურნირი კი 22 თებერვალს განახლდება.

**D ჯგუფი**
მაკაბი (ისრაელი)
ციბონა (ხორვატია)
ულქერი (თურქეთი)
სიენა (იტალია)

**E ჯგუფი**
ცსკა (რუსეთი)
ბარსელონა (ესპანეთი)
რეალი (ესპანეთი)
სკავოლინი (იტალია)

**F ჯგუფი**
კლიმამიო (იტალია)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ჟალგირისი (ლიტვა)
ტაუ (ესპანეთი)

**G ჯგუფი**
ეფესი (თურქეთი)
ბენეტონი (იტალია)
აეკ (საბერძნეთი)
პროკომი (პოლონეთი)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# აბა, შეტევაში მნახე, ვინა ვარ

## ფინიქსმა იუტას 136 ქულა ჩაუგდო



როცა სტივ ნეში დაფრინავს, „ფინიქსისთვის“ შეუძლებელი არაფერია

— 14 თებერვალი —

**დეტროიტი 107:83 მილუოკი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (17), ჰამილტონი (16), პრინსი (13), რ. ვოლესი (17 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (11 ქულა, 12 მოხსნა); აროიო (15), მილიჩიჩი (8), მაკდაისი (6), ჯენკინსი (2), დიუპრე (2), ჰანტერი

**მილუოკი:** უილიამსი (2), მეისონი (6), კუკოჩი (6), სმიტი (11), გაძურიჩი (10 ქულა, 13 მოხსნა); სტრიკლენდი (18), ჯეიმსი (13), ვან ჰორნი (9), ფაჩულია (14 წუთი, 4 ქულა, 8 მოხსნა), ჰამილტონი (2), სანტიაგო (2)

**ფილადელფია 106:105 ნიუ იორკი**

**ფილადელფია:** აივერსონი (38 ქულა, 10 პასი), ჯეკსონი (22), უილიამსონი (19)

**ნიუ იორკი:** მარბერი (32), კროუფორდი (19)

**შარლოტი 77:80 პორტლენდი**

**შარლოტი:** ელი (16), ვოლესი (14), ბრეზეცი (10 ქულა, 18 მოხსნა)

**პორტლენდი:** პრჟიბილა (19 ქულა, 17 მოხსნა), პატერსონი (17), სტუდემაიერი (17)

**ნიუ ორლეანი 98:96 ვაშინგტონი**

**ნიუ ორლეანი:** სმიტი (18), ანდერსენი (16), ნახბარი (15)

**ვაშინგტონი:** არენასი (34), ჯემისონი (30 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი 136:128 იუტა**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (42 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (22), ნეში (19 ქულა, 18 მოხსნა), მარიონი (18)

**იუტა:** ბელი (22), ეისლი (20 ქულა, 11 პასი), ჰარპრინგი (16 ქულა, 10 მოხსნა)

გაჭირვებულ „მილუოკი ბაქს“ ტრამპ ამართში მიეწია. ზაზა ფაჩულიას გუნდმა ძლივს მოგებები დაიწყო, ზედიზედ სამი გადააბა და როცა ცენტრალური დივიზიონის ცხრილის ფსკერიდან ამოცვინთვის ოცნებაც გაუჩნდა, მაშინ დაიმტვრა გუნდის ლიდერი და მთავარმეტყულე მაიკლ რედი.

„დეტროიტ პისტონზთან“ ალბათ რედიც ვერ უშველიდა „ბაქს“, მაგრამ მის არყოფნაში მწვრთნელ ტერი პორტერს თავის მართლების საბაბი მიეცა, მაიკლი რომ ყოფილიყო, ასე უიმედოდ არ წავაგებდითო.

ჩემპიონებმა უკვე მეორე მეოთხედში გატეხეს მილუოკელები, როცა ეს თორმეტწუთეული 32:17 მოუგეს და დიდ შესვენებაზე 17-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მეორე ტაიმში მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ, უკვე დამარცხებულ სტუმრებს კი თითქმის არაფერი. „დეტროიტმა“ სულ 32 პასი მოაგროვა და 48 წუთში მხოლოდ 4-ჯერ დაკარგა ბურთი, ასეთი რაციონალური თამაში კი კლუბის მრავალტომიან ისტორიას არ ახსოვს. მოკლედ, სეზონის უხეიროდ დაწყების შემდეგ ჩემპიონები მეტოქეთა რბევის იმტაზე მოდიან.

პასებზე და ლაზათზე ჩამოვარდა სიტყვა და თუ ვინმეს შეტევის ორგანიზება არ დაეწუნება, ეს „ფინიქს სანზი“ გახლავთ. სტივ ნეშის დარი გამთამაშებლით ყოველ თამაშში 100 ქულის მოგროვება პრობლემა არაა. თავად ნეში კი ქულებზე უკეთ პასებს იხვეჭს და ზედიზედ მეთედ გააკეთა ათზე მეტი პასი. მისმა გუნდმა კი გადარბენა-გადმორბენაში აიყოლია შედარებით უხეირო შემსრულებლების მყოლი „იუტა ჯაზი“ და ორივე ჯამში 264 ქულა მოაგროვა, რაც ამ სეზონის რეკორდია და მას ისევ „ფინიქსის“ თამაში თუ გააუმჯობესებს.

სხვათა შორის, ნეშსა და კომპანიას თავიდან გაუჭირდათ „იუტას“ დაბრიყვება. პირიქით, პირველ ტაიმში ერთთავად ჩამორჩებოდნენ და მესამე მეოთხედშიც გაშალეს ფრთები. დიდი შესვენების შემდეგ იყოჩადა რაღაც ვირუსის გამო წინა მატჩში ჩაფლავებულმა ახალგაზრდა ცენტრმა ამარე სტუდემაიერმა და მესამე მეოთხედში 15 ქულა გაახერხა. მისიანებმაც ბოლო მეოთხედში 13-ქულიანი უპირატესობით შეაბიჯეს და მერეც აღარ გასჭირვებიათ მატჩის სასურველ დასასრულამდე მიყვანა.

სტუდემაიერმა შეხვედრა 42 ქულით დაასრულა, სტივ ნეშს კი 19 ქულასთან ერთად სეზონში პირადსარეკორდო 18 პასიც მოუგროვდა.

კიდევ ერთ მეპასეზეც ვოქვათ: „ფილადელფია სიქსერზის“ ჭინკა ლიდერი ალენ აივერსონი ამ სეზონში მწვრთნელმა მსროლელ-ბიდან გამთამაშებლად გაამწესა და მასაც პასები მოუმრავლდა, მაგრამ სხვათა ბურთებით მომმარაგებლის ფუნქცია აივერსონს ხელს არ უშლის, ქულებიც ძველებურად ხვავიანად იხვეჭოს და ლიგის ბომბარდირებსაც ულიდეროს. „ორლანდოსთან“ ზღაპრული, 60-ქულიანი მატჩის შემდეგ აივერსონმა „ნიუ იორკსაც“ აუზნია თავგზა და 38 ქულა უმარჯვა, მაგრამ გადამწყვეტი გამოდგა არა მისი სროლა, არამედ პასი — შეხვედრის ბოლო წამებზე ნიუიორკელებმა ჭინკა ალენი კუთხეში მიიმწყვდიეს და სროლის საშუალება მოუსპეს, ამანაც შეიდფუთიანი მაიკლ სვიტნის ხელებზემოდან სროლას პასის გაკეთება არჩია, „ნიუ იორკის“ ფარქვეშეთში ჩასაფრებული მარკ ჯეკსონი მონახა და ამასაც 104:105 ანგარიშზე ჩაგდებისა და მეტოქისთვის გამარჯვების წართმევისას ხელი არ აჰკანკალებია.

უნდა ითქვას, რომ აივერსონმა თავისი 38 ქულიდან 31 პირველ ნახევარში მოიხვეჭა, მერე კი ძირითადად თანაგუნდელებზე „მუშაობდა“. „ფილადელფიამ“ კი ზედიზედ მესამედ იმარჯვა და ატლანტიკის ლიდერობაში „ბოსტონს“ ჩაეზიარა.

**ბოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 26 | 26 | 50,0 |
| ბოსტონი | 26 | 26 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 29 | 43,1 |
| ტორონტო | 21 | 31 | 40,4 |
| ნიუ იორკი | 20 | 32 | 38,5 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 31 | 19 | 62,0 |
| კლივლენდი | 29 | 20 | 59,2 |
| ჩიკაგო | 24 | 23 | 51,1 |
| ინდიანა | 24 | 26 | 48,0 |
| მილუოკი | 20 | 29 | 40,8 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 39 | 14 | 73,6 |
| ვაშინგტონი | 30 | 21 | 58,8 |
| ორლანდო | 27 | 24 | 52,9 |
| ატლანტა | 10 | 39 | 20,4 |
| შარლოტი | 10 | 39 | 20,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 40 | 12 | 76,9 |
| დალასი | 33 | 16 | 67,3 |
| ჰიუსტონი | 31 | 21 | 59,6 |
| მემფისი | 30 | 22 | 57,7 |
| ნიუ ორლეანი | 11 | 41 | 21,2 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 35 | 14 | 71,4 |
| მინესოტა | 25 | 27 | 48,1 |
| დენვერი | 23 | 28 | 45,1 |
| პორტლენდი | 21 | 29 | 42,0 |
| იუტა | 17 | 34 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 41 | 12 | 77,4 |
| საკრამენტო | 33 | 18 | 64,7 |
| ლეიკერსი | 25 | 24 | 51,0 |
| კლიპერსი | 23 | 28 | 45,1 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 37 | 27,5 |

# სასიკვდილო აგონია

## ხუმრობა-ხუმრობაში ჰოკეი გაიპარა

**ლიგის** კომისიონერი გერი ბეტმენი ოთხშაბათს პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ოფიციალურად გამოაცხადებს, რომ 2004-05 წლების სეზონი გაუქმებულია — ასეთ ინფორმაციას ავრცელებს საავტორო ასოშიეიტიდ პრესი, ოღონდ ჯერჯერობით ლიგის არც ერთი ლიდერი არ ადასტურებს, რომ ყველაფერი გადაწყდა.

მაშ, ასე, სასიკვდილო აგონია გრძელდება. წლეულს რომ ჰოკეი მოკვდა, ამაში ეჭვი თითქმის აღარავის ეპარება, თუმცა დიდმოხელენი თავიანთ ოინებს კვლავაც განაგრძობენ. ყველაფერი უკვე სასიკვდილო ელფერს იღებს, მაგრამ... თურმე ორშაბათს კიდევ ერთი საიდუმლო შეხვედრა გაიმართა, სადაც მოთამაშეთა ასოციაციამ „ხელფასების ჭერის“ შემოღებაზე თანხმობა განაცხადა! საინტერესოა, რომ ეს შესაძლებელი იყო, აქამდე რატომ ჯიუტობდა? პარადოქსული სიტუაციაა. ვერც ლიგა დაიკვეხნის გონივრული მოქმედებით ვახსოვთ, გასულ კვირას ბეტმენმა და კომპანიამ პრაქტიკულად სრულად მიიღეს ასოციაცის მიერ ჯერ კიდევ 9 დეკემბერს შეთავაზებული გეგმა, მაგრამ ამას ოთხი პირობა დაამატეს, რაზეც გუდენაუ არ დათანხმდა. ამჯერად ლიგამ ააგდო ქვა და თავი შეუშვირა, ვინაიდან ნჰლპა ზედმეტად მაღალ ჭერს, 52 მილიონ დოლარს სთავაზობს და ეს მაშინ, როცა ლიგის ბოლო წინადადება 42 მილიონ დოლარს ითვალისწინებდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ლიგამ და ასოციაციამ თავიანთი ბავშვური თამაშებით უამრავი ჰოკეისტი აზარალეს და ქომაგებსაც არკინეს გული.

# სკანდალი

**სამ** შვედ ჰოკეისტს მარტო ნაკრებთან კი არა, თავიანთ კლუბებთანაც მოუწევთ გამომშვიდობება. კრისტიან ჰუსელიუსს და ჰენრიკ ტალინდერს „ლინჩოპინგმა“ უკვე კარისკენ მიუთითა და კონტრაქტიც დაარღვია, ხოლო ანდრეს ლილიას „მორამ“ სეზონის ბოლომდე მისცა დისკვალიფიკაცია...

„სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის, რომ საქმე 22 წლის ქალის გაუპატიურებას ეხება. ამ დღეებში ცნობილი გახდა დეტალები, რომლებმაც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სულ ჩახლართა სიტუაცია.

დანაშაულის ფაქტი ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან სამი ჰოკეისტისა და ქალის მისვლა სასტუმროში ვიდეოკამერებზეა აღბეჭდილი. ისიც ცნობილია, რომ მეორე დღეს ქალი შოკში იყო და ძალიან „ცუდადაც“ გამოიყურებოდა. თუმცა მოთამაშეებმა უარყვეს გაუპატიურების ფაქტი და განაცხადეს, რომ ყველაფერი ქალის თანხმობით მოხდა. პოლიციამ რატომღაც არ აღძრა საქმე, პროკურორმა ჰენრიკ რასმუსენმა კი განაცხადა, რომ საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევებმა იმ დონეზე არ დაადასტურა გაუპატიურების ფაქტი, რომ საქმე აღვძრათო. დავეთანხმებით, ცოტა გაუგებარი კომენტარია ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შეგნებულად ამუხრუჭებენ საქმეს. შვედეთის ჰოკეის კავშირის თავმჯდომარე კრისტიან ენგლუნდი კი ამბობს, ჩვენი ორგანიზაცია თავად ჩაატარებს გამოძიებასო. ფაქტი ის არის, რომ ეს სამი მოთამაშე მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ მიიღებს მონაწილეობას. არადა, მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. რაკი ეროვნული ნაკრების მესვეურები ასეთ მსხვერპლზე წავიდნენ, ესე იგი ყველასთვის ყველაფერი ნათელია. გარდა შვედეთის პოლიციისა.

# ლილია ვარ, ლილია!

## ვინ თქვა, ყორანი არ გათეთრდებაო

**განა** შეიძლება, მარცხენა სურათზე აღბეჭდილმა კაცმა თქვას, ის ვარ, რომელიც მარჯვენა სურათზეა აღბეჭდილიო? თურმე შეიძლება. ესენი შესაბამისად პიტერ ვორელი და ანდრეს ლილია არიან (სხვათა შორის, იცით, რომ ეს უკანასკნელი ამ დღეებში სხვა, გაცილებით მძიმე სკანდალში გაეხვა). ჰოდა, დააკავა პიტერ ვორელი ფლორიდის შტატის პოლიციამ. ეს არავის გაჰკვირვებია, მანამდეც ბევრჯერ გამოუჭერიათ არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო. მაგრამ ვორელს ვალმა შედავების ტაქტიკაც დამუშავებული ჰქონია, ერთხელ ავტომობილის კარებიც კი შეუნგრია კანონის დამცველთ. ამჯერად კი უფრო შორს წავიდა. „კოლორადოს“ შავკანიანი ფორვარდი თურმე ლილიას კუთვნილ ავტომობილზე იჯდა და როდესაც ვინაობა ჰკითხეს, ანდრეს ლილია ვარ და მანქანის მართვის სრული უფლება მაქვსო, გაიძახოდა. როცა მოგვიანებით მანქანაში ვორელის პასპორტი აღმოვაჩინე, მერე მოეფინა ყველაფერს ნათელიო, წერს ოქმში პოლიციელი, ვინმე ლაიონელ დეკვისი.





ვორელის ვექილი მიჩელ პოლეისი თავს არიდებს კომენტარს. აბა, რა უნდა თქვას.

ისე, ვორელი ყინულზეც ერთობ ფიცხია. თავის 7-წლიან კარიერაში მხოლოდ 19 გოლის გატანა მოასწრო, 1554 საჯარიმო წუთი კი მოიხვეჭა.

# ე, ბიჭო, გაახილე თვალები!

**არიან ათლეტები, რომლებიც აქტიური სპორტის მიტოვების შემდეგ თვალსაჩინო მეცნიერები ხდებიან. იშვიათად, მაგრამ არიან პიროვნებები, რომლებიც ჯერ მეცნიერებაში აღწევენ გარკვეულ წარმატებებს, მერე კი სპორტულ სარბიელზე იპყრობენ უმაღლეს მწვერვალებს. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, ვხედავთ მთამსვლელებს, აფროსნებს, ცხენოსნებსა და ტყვიის მსროლელებს. უფრო იშვიათია კაცი, რომელიც ორივე სფეროში პარალელურად მიუყვება ზემოთ მიმავალ საფეხურებს და ორივეგან მნიშვნელოვან სიმაღლეებს იპყრობს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლავთ ლერი გოგოლაძე, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში და უფრო დიდი მასშტაბითაც გამორჩეული გახლავთ**



ლერი გოგოლაძის თანაგუნდელები იხსენებენ, რომ იგი შეჯიბრებებზე ბავშვობიდანვე მათემატიკური კონსპექტებით დადიოდაო. აუზში იმ კონსპექტებიან ბიჭს საუკეთესო მეკარედ აღიარებდნენ. საქართველოს ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადებზე კი სკოლის დამთავრებამდე ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში პირველი ხარისხის დიპლომებს ისაკუთრებდა. სტუდენტობისას და ასპირანტურაში სწავლისას გახდა რომის ოლიმპიური თამაშების, ევროპის ჩემპიონატისა და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორი. მერე, უკვე მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, კვლავ წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს წყალბურთელთა კარს საკავშირო ჩემპიონატებში, სპარტაკიადებზე და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ბოლოს რომ ეგონა, წყალბურთს საბოლოოდ გამოვეთხოვეო, სამი წლის სტაჟის მქონე მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, რომელიც სადოქტორო თემაზე მუშაობდა, შინ მიადგნენ და, იუგოსლავიაში, საერთაშორისო ტურნირზე უნდა წამოხვიდე და დაგვეხმარეო. დაეხმარა კიდეც. ეს უკვე 1972 წელს იყო.

ერთი სიტყვით, ლერი გოგოლაძემ თავისი ღრმა კვალი დატოვა სპორტში და მათემატიკურ მეცნიერებაშიც იგივეს აკეთებს. ლერი გოგოლაძე ამ მხრივ პითაგორას მაგონებს.

პითაგორას თეორემას ავტორი, მოგეხსენებათ, არა მხოლოდ უთვალსაჩინოესი მათემატიკოსი, უებრო ათლეტიც იყო. განსაკუთრებით ჭიდაობა იტაცებდა და ბეჭდაუდებელი ფალავანიც გახლდათ, რისი წყალობითაც ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორადაც მოგვევლინა. პითაგორას ქურაში მერე მასავით ოლიმპიური გვირგვინოსანიც გამოიწრთო და მის მათემატიკურ სკოლაშიც ბევრნი წარმატებით ეუფლებოდნენ ამ მეცნიერულ მოძღვრებას.

პითაგორას დარად, ლერი გოგოლაძესაც ჰყავს მათემატიკაში მიმდევრები. 1993 წელს საბერძნეთში გამართულ ნორჩ მათემატიკოსთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ექვსი წარმომადგენელი მონაწილეობდა და მათგან ხუთი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ლერი გოგოლაძის ხელმძღვანელობით მისმა ხუთმა მიმდევარმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, რომელთაგან ორი ახლა მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. ამას გარდა, 1985-97 წლებში იყო თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში.

რაც შეეხება წყალბურთს, მას ოფიციალურად მწვრთნელად არ უმუშავია, თუმცა მომდევნო თაობების რჩევა-დარიგებას და კონსულტაციებს არ აკლებდა, ხშირად კი პრაქტიკულ მაგალითებსაც არ იშურებდა. ყოველივე ამის გამო მას მოწიწებით მოიხსენიებენ მათემატიკურ თუ სპორტულ სამყაროში და საერთოდ საზოგადოებრიობაში.

მოწიწებასთან დაკავშირებით მახსენდება დაახლოებით 40 წლის წინანდელი ამბავი. იმ დღეს საცურაო აუზის კართან მწვრთნელის მოლოდინში შეკრებილები რომ ვძიძგილაობდით, უნებლიეთ იქიდან გამოსულ ერთ-ერთ ახოვან, მხარბეჭიან ახალგაზრდა კაცს შევეჯახე.

ე, ბიჭო, გაახილე თვალები, შენ ეს ვიღაც ის ხომ არ გგონია, ლერი გოგოლაძეაო, დამიცაცხანა ჩვენსავით მწვრთნელის მოლოდინში ერთმა არანაკლებ ახტაჯანა რუსიკო გორიტაშვილმა. რუსიკოს რომ არ ეთქვა, ისედაც კარგად ვიცოდით, ვინ იყო ლერი გოგოლაძე — თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების კარის დარაჯი, რომლის წინაშეც მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელებსაც კი ხელი უკანკალებდათ და მომარჯვებული ბურთის ტყორცნას ვერ ბედავდნენ.

ეს ამბავი ახლაც გამახსენდა, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგეს, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლერი გოგოლაძეს ვესტუმრე.

ჩვენი საუბრის ძირითადი თემა გასაგებ მიზეზთა გამო მაინც სპორტი იყო, სადაც პირველი დიდი სიხარული მოსკოვში, მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე განიცადა. მაშინ საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა, ლერი გოგოლაძე კი პირველად აღიარეს ტურნირის საუკეთესო მეკარედ, ორიოდე წლის მერე კი ჩვენი წერილის გმირმა უკვე თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა კარი ღირსეულად დაიცვა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც მესამე ადგილი დაიკავა, მერე კი მსგავსი წარმატება კიდევ ორჯერ (1964, 1968 წწ) მოიპოვა და ამდენჯერვე (1960, 1962 წწ) ვერცხლის პრიზიორიც იყო. იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, 1963 წლის უგვირგვინო ჩემპიონიც.

საქმე ის იყო, რომ იმ წელიწადს III საკავშირო ხალხთა სპარტაკიადა გაიმართა. სპარტაკიადის წელს გამართულ საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორებს კი რატომღაც მედლებით არ აჯილდოებდნენ და მხოლოდ დიპლომებს აკმარებდნენ. ამის გამო ასეთ ჩემპიონატს უმედლო ჩემპიონატს უწოდებდნენ. თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა, რომლებიც იმ დროს ერთი-ერთი უძლიერესნი იყვნენ და ნიადაგ პრიზიორები ხდებოდნენ, ერთადერთხელ მოახერხეს პირველი ადგილის დაკავება და ბედის ირონიით, ისიც უმედლო ჩემპიონატში მოხდა.

რაც შეეხება სპარტაკიადას, ლერი გოგოლაძის გუნდმა იმ წელიწადს ვერცხლის მედალი მოიპოვა და კიდევ ორჯერ (1959, 1967 წწ) მესამე იყო. თავად ლერი გოგოლაძე 1958 წლიდან მოყოლებული 1964 წლის ჩათვლით ყოველწლიურად სსრ კავშირის №1 მეკარედ სახელდებოდა და მეორეობა მხოლოდ ერთხელ არგუნეს.

ერთხელაც, 1958 წელს საბჭოთა წყალბურთელების ნაკრებმა, რომლის კარსაც ლერი გოგოლაძე იცავდა, მოსკოვში იუგოსლავიელთა ნაკრებს სძლია 1:0. იმავე ანგარიშით დასრულდა ინგლისელთა ნაკრებთან საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებაც, რომელთა კარის დარაჯი ლევ იაშინი იყო. ეს ამბავი პრესამ აიტაცა და ერთ-ერთი გაზეთი წერდა, საბჭოთა კავშირის სახმელეთო და საზღვაო ჭიშკრები საიმედოდაა დაცულიო. ამიტომაც სულ მაინტერესებდა, თუ რატომ მოხდა ისე, რომ რომის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრების კარის დაცვა ლერი გოგოლაძეს რეიდან მხოლოდ სამ მატჩში ანდეს.

„ეს ამბავი გუნდის მეორე მწვრთნელ ნიკოლაი მალინინთან ჩემმა ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ განაპირობა — გვიამბობს ლერი გოგოლაძე — ჯგუფში პირველ მატჩში დასავლეთ გერმანიის გუნდთან გამარჯვების (5:4) მერე არგენტინელებთან მე უნდა მეთამაშა. წინა საღამოს მეჩვენა, რომ სიცხე მქონდა და სამედიცინო პუნქტში მივედი. მერე არგენტინელებთან შეხვედრის წინ მწვრთნელებმა დასამოძღვრად და თამაშის დასაგეგმად გვიხმეს. ჩემთვის ვიჯექი და მათ ვუსმენდი. მოულოდნელად მეორე მწვრთნელი ადგა და მე მომმართა, ჩუმად რომ ზიხარ, შენ ხომ სამედიცინო პუნქტში იყავი და ამაზე რატომ არაფერს გვეუბნებიო. შენ ამით მთელ საბჭოთა ნაკრებს „სტავიშ პოდ უდარ“-ო. გავიკვირვე, რის „პოდ უდარ, რა პოდ უდარ“. ან რა უნდა მეთქვა, როცა სიცხე არ მაქვს და საერთოდ, რომ მოვკვდე, არგენტინელებთან მაინც კარგად ვითამაშებ-მეთქი. მართლაც, არგენტინის, ისე როგორც ბრაზილიის და ზოგ სხვა გუნდზეც მთელი თავით მაღლა ვიდექით. მათ წინააღმდეგ მნიშვნელობაც კი არ ჰქონდა, საბჭოთა ნაკრების წევრები ვინ სად რას ვითამაშებდით. იმ ხანად მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გუნდები სწორედ საბჭოთა კავშირს, იუგოსლავიას და უნგრეთს ჰყავდა, მერე იტალიელები მოდიოდნენ. ასე იყო თუ ისე, ჩემი დასჯა არგენტინასთან უთამაშებლობით გადაწყდა. აუზში გუნდის წევრებთან ერთად კი მივედი, მაგრამ მოთელვაზე წყალში არ ჩავედი. ეს რომ უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმერ უშაკოვმა დაინახა, მისაყვედურა. თავი ვიმართლე, არ მათამაშებთ და, მოთელვა რისთვის მჭირდება-მეთქი. ჩადი წყალში და ნახავ, თუ არ გათამაშებო. აუზში ჩახტომა, მოთელვის დასრულება და შეხვედრის დაწყება ერთი იყო.



უფროსმა მწვრთნელმა პირობა შეასრულა, მაგრამ რადგან თამაში მოუთელავად დავიწყე და საბრძოლოდ უმალ ველარ განვეწყე, დასაწყისშივე იოლი ბურთი გავუშვი, მერე კი ჩვეული შესაძლებლობებით ვითამაშე და შეხვედრა მოვიგეთ, მაგრამ მეორე მწვრთნელმა ახლა ის იოლად გაშვებული ბურთი დაიხვია ხელზე. აი, ხომ გეუბნებოდითო... ამას ისიც დაემატა, რომ ახლა უკვე ბრაზილიელებთან მატჩზე წასვლამდე სტადიონზე ვიყავი. ამ დროს მოდის მეორე მწვრთნელი და მეუბნება, ჩქარა, აუზში წამოდიო. ვთხოვე, ერთ წუთს მაცადე, ჩვენი რობერტ შავლაყაძე ხტება-მეთქი. ხტება, თორემ ეგეც ჩემპიონი არ გახდეს, ქართველებმა ბაქიაობის მეტი არაფერი იცით და ახლავე წამოდიო. ისევ ყელგამოწვდილი შევეხვეწე, მაგრამ თავისი გაიტანა. მერე კი ეს ამბავი დაიხვია ხელზე, დისციპლინას არღვევს, უნდა დაისაჯოსო და ბრაზილიელებთან აღარ მათამაშეს. საღამოს ოლიმპიურ სოფელში რომ დავბრუნდით, ამბავი დამახვედრეს, რობერტ შავლაყაძე ჩემპიონიაო. ამის გაგონებაზე მეორე მწვრთნელს მგონი ნიშნის მოგებით გადავხედე. იწყინა. იწყინა და აღარც რუმინელებთან სათამაშოდ დამაყენეს. ნახევარფინალურ ეტაპზე იტალიელებთან შეხვედრის წინ დიდი ბჭობა იყო, გოგოლაძე ვათამაშოთ თუ არაო. ბოლოს მაინც არ მათამაშეს და ის შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 2:0. ორი აზრი არ იყო, საბჭოთა ნაკრების მარცხი მეკარის სუსტმა თამაშმა განაპირობა. ამის მერე უფროსმა მწვრთნელმა თავის გაიტანა და უკვე ფინალურ მატჩებში ფავორიტებთან უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდებთან მე დამაყენეს კარში. უნგრელებთან 3:3 ვითამაშეთ, იუგოსლავიელებს კი მოვუგეთ 4:3. საბოლოოდ ჩვენ ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, იტალიელები კი, რომელთანაც ჩვენი ნახევარფინალური შეხვედრის ანგარიში ფინალში გადმოვიდა, ყველასთვის მოულოდნელად ჩემპიონები გახდნენ. როცა ყველაფერი დასრულდა, ჩვენმა მწვრთნელებმა მაშინვე აღიარეს, შევცდით, იტალიელებთან გოგოლაძის უთამაშებლობა უდიდესი შეცდომა იყოო.“

და ალბათ აქ გაიხსენეს წინაოლიმპიური კვირეული, როცა რომში საბჭოთა და იტალიელი წყალბურთელები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბრძოლის დამთავრებამდე 20 წამით ადრე საბჭოელები 4:3 იგებდნენ. ამ დროს მათ კარში პენალტი დაინიშნა. მისი ტყორცნა იტალიელთა საუკეთესო თავდამსხმელმა, გერმანული წარმოშობის ფრიც დონერლაინმა ითავა, მაგრამ ლერი გოგოლაძემ იყოჩაღა და გუნდს გამარჯვება შეუნარჩუნა. ამიტომაც რომის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ნაკრების ხელმძღვანელობა სინანულით აღიარებდა, ლერი გოგოლაძის წყალობით უთუოდ მოვიგებდით და ჩემპიონებიც გავხდებოდითო.

თუმცა, ვინ თქვა, რომ ოლიმპიური ვერცხლი წონიანი არააო. ამიტომაც რომის ოლიმპიურ თამაშებს და იქ დამსახურებულ მედალს ლერი გოგოლაძის სპორტულ ბიოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, იმ მეორე მწვრთნელის ხუშტურებს კი ახლა უბრალოდ ღიმილით იხსენებს და წყენა გულში არ ჩაუდვია, მით უმეტეს, რომ გადამწყვეტ, ურთულეს მატჩებში კარის დაცვა ბოლოს მაინც მას ანდეს.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა ცურვის სექციაში მოსიარულე 14 წლის ბიჭს ვარჯიშზე დააგვიანდა და მწვრთნელმა წყალბურთელებს სთხოვა, დღეს თქვენთან იცურავოსო. იცურავა კიდეც და რაკი იმ დღეს წყალბურთელთა მეკარემაც დააგვიანა, ვარჯიშზე ლერი გოგოლაძეს სთხოვეს კარში ჩადგომა. ისიც ჩადგა და სულ მალე ყველა გააოცა...

და ახლა, როცა ეს ყოველივე გიამბეთ, მე ისევ რუსიკოს ჭყივილი მახსენდება, „ე, ბიჭო, გაახილე თვალები“...

**ავთანდილ გურასაშვილი**



ტონი ბლერი და ოლიმპიური ჩემპიონი მეტიუ პინსენტი



ტესა ჯოელი და წარსულში სახელგანთქმული მძლეოსანი სებასტიან კოე

# ლონდონი პარიზს არ ნებდება



ლონდონის მერი კენ ლივინგსტონი

**გუშინ** ლონდონში ჩავიდა მადრიდმოვლილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 12-კაციანი კომისია, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატ-მასპინძელ ქალაქთა შესაძლებლობებს აფასებს.

შეგახსენებთ, რომ ამ კანდიდატ ქალაქთა შორის მადრიდისა და ლონდონის გარდა არის პარიზი, ნიუ იორკი და მოსკოვი.

ჯერჯერობით ამ ქალაქთაგან ფავორიტად ითვლება პარიზი, თუმცა, როგორც ლორდი კოი ამბობს, „ის, ვინც მუდმივად თვალყურს ადევნებს მოვლენათა განვითარებას, ფიქრობს, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ლონდონმა მნიშვნელოვნად აღმოფხვრა ჩამორჩენა“.

იმავეს ამბობს სოკ-ის მარკეტინგული საკითხების დირექტორი მაიკლ პეინი:

„ლონდონი სულ უფრო და უფრო ამცირებს ჩამორჩენას. მე სასიამოვნოდ ვარ გაკვირვებული. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, მაგრამ ეს ყველაზე ღია შეჯიბრებაა ბოლო 20 წლის განმავლობაში.“

შეგახსენებთ, რომ ლონდონმა ორჯერ, 1908 და 1948 წლებში უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს, კიდევ ორჯერ — 1996 და 2000 წლებში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას ცდილობდა ინგლისის სხვა ქალაქი, მანჩესტერი, მაგრამ იგი ვერას გახდა.

ასეა თუ ისე, კანდიდანტ-ქალაქთა ამჟამინდელ ბრძოლაში გამარჯვებულს გამოაცხადებენ 6 ივლისს სინგაპურში გასამართ საერთაშორის ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე.

ლონდონის მხარდასაჭერად სინგაპურში სოკ-ის სესიის დაწყებამდე ჩასვლას აპირებს დედოფალ ელისაბედ II შვილიშვილი პრინცი უილიამი.

სინგაპურში ჩასვლა განუზრახავს დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრს ტონი ბლერს, რომელიც ლონდონის მხარდაჭერას პირადად აპირებს. ამის შესახებ განაცხადა დიდი ბრიტანეთის კულტურის, სპორტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მინისტრმა ტესა ჯოელმა.

ჯოელის თქმით, ტონი ბლერი „უყოყმანოდ და აბსოლუტურად“ უჭერს მხარს ლონდონის კანდიდატურას.

„იგი შთაგონებულია იდეით, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა დიდ ბრიტანეთში სპორტთან დამოკიდებულებას შეცვლის“ — თქვა ტესა ჯოელმა.

მიმომხილველები აქ იმასაც იხსენებენ, რომ ტონი ბლერი დაესწრო ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალს მაშინ, როცა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატ-ქალაქთა ქვეყნების მეთაურებს ეს არ გაუკეთებიათ.

„და თუ ბლერს მცირე შესაძლებლობა მიეცემა, იგი უთუოდ ჩავა სინგაპურში“ — ამბობს ტესა ჯოელი, თუმცა იმავე დღეს შოტლანდიაში, კერძოდ გლენიგლსში იქნება „დიდი რვიანის“ ლიდერთა სამიტი, რასაც შეუძლია პრემიერმინისტრის სინგაპურში ჩასვლა ჩაშალოს.

ასეა თუ ისე, ლონდონში ჩასული სოკ-ის შემფასებელი კომისიის წევრები, რომელსაც პირველი მუსულმანი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, მაროკოელი ნავალ მუტავაკელი მეთაურობს, მოინახულებს დიდი ბრიტანეთის სპორტულ ბაზებს და სხვა ობიექტებს, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებთან იქნება დაკავშირებული.

ამას გარდა, კომისიის წევრები შაბათს შეხვდებიან ტონი ბლერს და სხვა გამოჩენილ პოლიტიკოსებს, შემდეგ კი მათ მიიღებს ელისაბედ II, რომელიც ბუკინგემის სასახლეში სტუმართა საპატივცემულოდ ვახშამს გამართავს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ცურვა



# დიდი დარტყმა ავსტრალიის ნაკრებზე

**ამ ზაფხულს** მონრეალის მსოფლიოს ჩემპიონატში არ გამოვა ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრალიელი იან ტორპი.

„წლეულს ჩემი აღსაზრდელი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის არ იბრძოლებს. ეს ავსტრალიის ნაკრებისთვის დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ ჩვენ პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად შემუშავებული გეგმა გვაქვს და ამ გეგმის მიხედვით იანმა ახლა უთუოდ უნდა დაისვენოს“ — თქვა იან ტორპის მწვრთნელმა ტრეისი მენზისმა.

ათენის ოლიმპიური თამაშების მერე 22-წლის იან ტორპს შეჯიბრებებზე აღარ უასპარეზია და მენზისის აზრით, მას არ ულირს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ფორსირებული მზადება.

ავტორბოლა

# ავტომობილი, როგორც ტარანი

**ამ უქმეებზე** აშშ-ში გაიმართა ავტორბოლა, რომელსაც ყველა შანსი აქვს, რათა წლის ყველაზე სახიფათო რბოლად იწოდებოდეს რბოლაში, რომლის სახელწოდებაა DAYTONA INTERNATIONAL SPEEDWAY, სერიოზული „ავტოსაგზაო შემთხვევა“ მოხდა, რის შედეგადაც სულ ცოტა 7 კაცი დაშავდა.

ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო შემთხვევა რბოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ბლეიკ ფიზის ავტომობილი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სპორტულ ფოტორეპორტიორთა ობიექტივებში შევარდა.

ეს ასე მოხდა: ბლეიკ ფიზიმ პიტ-სტოპზე შეუხვია, მაგრამ საჭირო დროზე ადრე მოატრიალა და პირდაპირ შეჯგუფულ ფოტორეპორტიორებში შეიჭრა. სამ დაშავებულს იქვე აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება. ერთი მრავალი მოტეხილობით საავადმყოფოში გააქანეს.

ავტომრბოლელმა თავისი მანქანა ჯართის გროვად აქცია და, რაც თქმა უნდა, შეჯიბრებას გამოეთიშა. ასევე რბოლის დასასრულს მოხდა კიდევ ერთი სერიოზული ავარია. ერთ-ერთმა ავტომობილმა, რომელმაც მართვა დაკარგა, ერთდროულად 13 მანქანა დალეწა. ამის გამო რბოლა 45 წუთით შეწყდა, ხოლო ორი დაშავებული საავადმყოფოში გაისტუმრეს.



**ავთანდილ ტყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა







# კინო მშვიდობისათვის

ბერლინის განთქმული კინოფესტივალი ხომ მიმდინარეობს ახლა და შიგ მთელი ღონისძიებებია ჩართული სამყაროს გასაკეთილებლად და გასაუმჯობესებლად. ასეთი იყო საქველო საღამო „კინო მშვიდობისათვის". ამ საღამოზე კინო კი იყო მთავარი, მაგრამ გალა დახუნძლული გამოდგა გერმანული სპორტის ვარსკვლავებით, რომლებმაც საქველმოქმედოდ კარგა მადლიანად გაიკრეს ხელი ჯიბეზე.

ბორის ბეკერი აქ გახლდათ, ჩემო ბატონო, ცურვის დიდი ჩემპიონი ფრანსისკა ვან ალმსიკი აქ იყო, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ოლივერ კანი და მისი მორიგი გელფრენდი ვერენა კერთი, თქვენ გენაცვალეთ და მიხაელ შტიხიც ანცობდა ალექსანდრა სიკოვსკისთან ერთად.

ძმებ კლიჩკოებს თავადაც კარგად დაინახავდით.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კოკა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი,
გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლევან ხოძერია, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღელჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge